# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 9 ივნისი, 2011 წელი.

№106 (6717)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge ვებ გვერდი: www.open.ge ფასი 50 თეთრი.


## დაუსჯელობით აყელყელავებულთა ზღვარდაუდებელი თავგასულობა



ყოფილი „ლეიკომბინატი“

6-7

## კოდუების კლანის „ანატომია“ და სახე

## 26 მაისის ობიექტური შეფასების გამო დასაჯეს?

პალიტრა მედია

3

## მიხეილ სააკაშვილი: ეს საქართველოში ქუჩის პოლიტიკის დასასრულია

2

## ვეღარ მივმხვდარვართ, დუმილი სჯობს, თუ – ზეიმი

4

## ქართული ხელისუფლების აზროვნების სქემას კრემლში კარგად ფლობენ

3




9

## საოცარი ქვეყანა

## ნიჭიერმა პაპას ნატვრა აუსრულა



12



9

## სარეკლამო „ბაქრა“

## დავით ბერძენიშვილი: „რვიანი“ რომ არა, საერთაშორისო საზოგადოება საქართველოს ჩამოწერდა

2

## ქვეყანას იზოლაციის საფრთხე ემუქრება

## მოსკოვიდან სოხუმამდე ავტობუსი ივლის

11

## წვიმა სეპარატისტებსაც არ ეპუება

## რას ითხოვენ ქართველი ემიგრანტები?

5

## ვიზა ყოფილა ჩვენი დამაქცევარი

◎ პოზიცია

დავით ბერძენიშვილი:

# „რვიანი“ რომ არა, საერთაშორისო საზოგადოება საქართველოს ჩამოწერდა

## როგორ ახასიათებს კოლეგებს რესპუბლიკელი?

**„ხელისუფლებას ხელს აძლევს სუსტი მტრის ხატი, ისეთების, როგორებიც ნოღაიდელი, ბურჯანაძე, ოქრუაშვილი... არიან, — განაცხადა რესპუბლიკელმა დავით ბერძენიშვილმა გუშინ „პრაიმ-თაიმის“ ოფისში, — ნოღაიდელმა პოლიტიკაში მეტეორივით შემოიფრინა და ოპოზიციის დისკრედიტაცია კარგად შეძლო, მერე თავისი პარტია ხელისუფლებას დაუთმო, აბა, სად არის დალეწილი თითები?! ბურჯანაძემ თავისი გზა თვითონ იცის, მასთან ხელისუფლებას აქვს გასარკვევი, სამართლებრივ დევნას დაუწყებს თუ რას იზამს. გაჩეჩილაძეს მეგობრულად ვურჩევ „ტაიმ-აუტი“ აიღოს. ის არ არის სისხლზე წამსვლელი კაცი, რაც მისი პლუსია. სჯობს, დაისვენოს და კარგად გაიაზროს ვითარება. რაც შეეხება ოქრუაშვილს, მის ადგილს ქართულ პოლიტიკაში საერთოდ ვერ ვხედავ“. ბერძენიშვილმა მოკლედ ასე დაახასიათა ოპოზიციონერი პოლიტიკოსები და კრიტიკა არც ერთისთვის არ დაიშურა, მაგრამ საქმეც ისაა, რომ მას, როგორც კონსტრუქციული „რვიანის“ ერთ-ერთ წევრს, არც ისინი ინდობენ.**



„რვიანი“ ორიოდე დღის წინათ სამოქალაქო საზოგადოებას შეხვდა, მაგრამ ეს ამბავი ნაციონალური არხების „ტოპ-ნიუსებში“ ვერ მოხვდა. რა თქმა უნდა, ასევე „გაატარა“ საზოგადოებრივმა მაუწყებელმა, იმის მიუხედავად, რომ მისი დირექტორი გია ჭანტურია და ბორდის წევრი ნინო დანელია შეხვედრას თავიდან ბოლომდე ესწრებოდნენ. **„ეს იმას ნიშნავს, რომ ხელისუფლებას ამ თემაზე დუმილი ურჩევნია, ვინაიდან პასუხი არც თვითონ არა აქვს, — ამბობს დავით ბერძენიშვილი, — გასული წლის შემოდგომაზე დავით ბაქრაძემ თავად თქვა, 31 მაისამდე უნდა მოხდეს პოლიტიკური შეთანხმებაო, თანაც ახალი კოდექსია დასაწერიო, ამდენად, მათ დათქვეს თარიღი და არა „რვიანმა“, მაგრამ თამამი ნაბიჯების გადადგმა ვერ შეძლეს. მთელი აპრილი საერთაშორისო საზოგადოების წარმომადგენლები ხვდებოდნენ ხელისუფლებას და პარალელურად „რვიანს“,სადაც გამუდმებით ისმოდა მოწოდებები ობიექტური არჩევნების აუცილებლობაზე, რაც ჩვენი გეგმის წარმატებული ნაწილი იყო“.**

მაგრამ, ცხადია, არც მაისის მიწურულს და არც ივნისის დამდეგს შეთანხმება ვერ მოხერხდა. ყველანაირი დათქმული ვადა ამოიწურა, ამიტომ „რვიანმა“ გეგმის მეორე ნაწილი აამოქმედა: რაკი ხელისუფლებას კომპრომისი არ უნდა, მათი იმედი სამოქალაქო საზოგადოებაზე და ამომრჩეველზე მიდგა, მოკლედ თუ ვიტყვით, ხალხზე. **„შემდეგი ნაბიჯი ასეთია: დავიწყებთ საზოგადოებასთან შეხვედრას, თბილისის გარეთ შევხვდებით ამომრჩეველს და გავაცნობთ, რა გვინდა და რას ვითხოვთ, შემოდგომაზე დავიწყებთ საერთო-სახალხო გამოკითხვას; პარალელურად ვამზადებთ ახალ საარჩევნო კოდექსს“,** — აღნიშნა რესპუბლიკელმა.

„რვიანის“ უმთავრესი მოთხოვნა ბიომეტრიული პასპორტებით საარჩევნო სიის გასუფთავებაა, რადგან საარჩევნო სიები აშკარად გაბერილია. საქართველოს მოსახლეობა 4,300 მილიონია, აქედან 3,700 ამომრჩეველია, რაც შეუძლებელია, თუნდაც იმიტომ, რომ 1 მილიონი მხოლოდ ბავშვია. „რვიანი“ მოითხოვს საარჩევნო სისტემის წესის შეცვლას. მაგალითად მაჟორიტარი უნდა გავიდეს უმრავლესობით, ანუ 50+1 სისტემით, თუკი ვერ მიიღებს ხმათა საჭირო რაოდენობას, მაშინ უნდა დაინიშნოს მეორე ტური. ცვლილებები აუცილებლად უნდა შეეხოს საარჩევნო ადმინისტრაციასაც. **„ტაქტიკურად ჩვენ ძალიან კარგად ვმუშაობთ, — აცხადებს ბერძენიშვილი, მაგრამ თუ მაინც არაფერზე წამოვიდა ხელისუფლება, მაშინ დაემართება ის, რაც შევარდნაძეს დაემართა. მას როგორც შიგნით, ისე გარეთ უნდობლობას გამოუცხადებენ“.**

შემოდგომაზე ფართომასშტაბიანი აქციების დაწყებას „რვიანის“ წევრები ზაფხულიდანვე აანონსებენ, მაგრამ თუკი ექსპერტებს დავესესხებით, 26 მაისის აქციამ ასეთი პროცესის ერთგვარი დისკრედიტაცია მოახდინა, მით უფრო, ამ გზით ხელისუფლებაზე ზემოქმედების ეფექტიანობისა. ეს ვარაუდები მიულებელი მიაჩნია რესპუბლიკელს, რომელიც ამბობს: **„26 მაისის მოვლენებმა არა ზოგადად აქციების, არამედ არაადეკვატური ამოცანების დისკრედიტაცია განაპირობა. ეს თავიდანვე ცნობილი იყო, მაგრამ ფსევდორევოლუციური გზის უუნარობა ახლა საბოლოოდ გაშიშვლდა. ეს იყო არასერიოზული შეთავაზება, რაც მარცხით დასრულდა. ჩვენ კი კონკრეტული მოთხოვნებით აქციებისთვის აქტიურად მოვემზადებით“.**

ბერძენიშვილი ამბობს, რომ ნინო ბურჯანაძეს შეეძლო ნაბიჯ-ნაბიჯ დაემკვიდრებინა თავი პოლიტიკაში, მაგრამ მან იმთავითვე პრეზიდენტობა დაისახა, რაც არ გამოუვიდა. უკეთეს შემთხვევაში შეიძლება პარლამენტში სულ რამდენიმე ადგილი მოიპოვოს. ესეც საჩოთიროა. „შეცდომა ადამიანურია, მაგრამ შეცდომაში გაჯიუტება იციით, რაც არის“, — აღნიშნა მან.

და ბოლოს, სავარაუდოდ: 26 მაისის შემდეგ, რომ არა „რვიანი“, საერთაშორისო საზოგადოება ჩამოწერდა საქართველოს, როგორც უპერსპექტივო ქვეყანას, მაგრამ საქმე ის არის, რომ ისინი ჩვენი სახით დემოკრატიულ პოლიტიკურ სპექტრს ხედავენ, — დასძინა ბერძენიშვილმა.

თეა მოსია

◎ განცხადება

# ქვეყანას იზოლაციის საფრთხე ემუქრება

**„ქართული აკადემიის“ 26 მაისის განცხადებაში ნათქვამია, რომ პოლიციის მიერ დემონსტრანტთა სასტიკი მეთოდებით დარბევის გამოუძიებლობას შეუძლია გამოიწვიოს ახალი დანაშაულის წახალისება და პოლიტიკურ ნიადაგზე ტოტალური და ფართომასშტაბიანი რეპრესიებისათვის საფუძვლის შექმნა.**

მოვლენათა განვითარება მიუთითებს ასეთი ვარაუდის სისწორეზე. კერძოდ, უკანასკნელ დღეებში თეონა ქარდავას დაკავება, ლაშა ჩხარტიშვილისათვის ათდღიანი ადმინისტრაციული სასჯელის შეფარდება, უკანონოდ დაკავებული და სასტიკად ნაცემი ცნობილი სპორტსმენისა და მსახიობის, ამჟამად მოშიმშილე სოსო ჯაჭვლიანის საავადმყოფოდან ისევ მცხეთის იზოლატორში გადაყვანა, ქვეყნის მასშტაბით განხორციელებული დაპატიმრებები, თვით ჩვენი რეპრესიული გარემოსთვისაც კი უჩვეულო „ნოვაცია“ — უსამართლობის წინააღმდეგ მებრძოლი მთელი ოჯახის დაკავება (მხედველობაში გვყავს ირინა, მაია და ირაკლი ბათიაშვილები), 7 ივნისს შემოსავლების სამსახურის მიერ „მედიაპალიტრის“ სტრუქტურების არაგეგმიური შემოწმება და სტამბებისა და პოლიგრაფიული საწყობების დალუქვა მეტყველებს, რომ საქმე გვაქვს არა გამოხატვისა თუ სხვა უფლებების ცალკეულ დარღვევებთან, არამედ ზემოხსენებულ ტოტალურ ტერორსა და ფართომასშტაბიან რეპრესიებთან.

პოლიტიკურად და მორალურად გაკოტრებული, საკუთარ ხალხთან ბრძოლაში დამარცხებული სააკაშვილის ავტოკრატიული ხელისუფლება დაადგა ნეობოლშევიკური ტოტალიტარიზმის შეუქცევად გზას. ქართველი ხალხი დგას უაღრესად საშიში გამოწვევის წინაშე, ქვეყანას კი ემუქრება დემოკრატიული სამყაროსაგან იზოლაციის საფრთხე.

მოვუწოდებთ ქართულ საზოგადოებას, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და პოლიტიკურ ძალებს მაქსიმალური კონსოლიდაციისაკენ, რათა სააკაშვილმა და მისმა ხელისუფლებამ ქვეყანა არ გადაჩეხოს ტერორისა და სახელმწიფოებრივი უპერსპექტივობის უფსკრულში. ამასთან, მოვუწოდებთ მეგობარი ქვეყნების მთავრობებს, საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიურ კორპუსსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს, გამოიყენონ მათს ხელთ არსებული ბერკეტები, შეაჩერონ წონასწორობადაკარგული ხელისუფლება, რათა არ მოხდეს საქართველოში დემოკრატიული ღირებულებების საბოლოო დასამარება, რაც საშიშია როგორც საქართველოს სახელმწიფოებრივი, ისე რეგიონალური უსაფრთხოებისათვის.

„ქართული აკადემია“
8.96.2011.

◎ პრეზიდენტი

## მიხეილ სააკაშვილი:

# „ეს საქართველოში ქუჩის პოლიტიკის დასასრულია“

## საქართველოს პრეზიდენტმა „THE NEW TIMES“-ს ექსკლუზიური ინტერვიუ მისცა



**— ბატონო პრეზიდენტო, 26 მაისის ღამეს დემონსტრანტების დაშლამ მძიმე შთაბეჭდილება გამოიწვია. მითხარით, იყო თუ არა ოპოზიციასთან ასეთი სასტიკი მოპყრობის აუცილებლობა?**

— სასტიკი? მე არ ვთვლი, რომ ეს სასტიკი იყო. სასტიკი იყო ის, რაც შემდეგ მოხდა, ის, რომ ადამიანები დაიღუპნენ. თავად პოლიციის ქმედებები აბსოლუტურად ადეკვატური იყო. ჩვენ საქმე გვქონდა ადამიანებთან, რომლებსაც ძალადობა სურდათ. როდესაც რომელიმე მხარეს ძალადობა სურს, არ არსებობს საშუალება, ეს ადამიანები უბრალოდ პამპერსებში შეფუთო და მშვიდად მოაშორო ტერიტორიას. იმავე ღამეს მე ვხედავდი, როგორ შლიდნენ ბარსელონასა და ინგლისში „ბარსელონას“ გულშემატკივრებს და იქ პოლიციის ქმედებები გაცილებით უფრო მკაცრი იყო. სინამდვილეში, მე ახლა გაცილებით კმაყოფილი ვარ პოლიციის ქმედებებით, ვიდრე სამი წლის წინ...

**— მხედველობაში გაქვთ 2007 წელი?**

— დიახ, დიახ, დიახ. ამჯერად პოლიცია გაცილებით უფრო პროფესიონალურად მოქმედებდა. ვფიქრობ, რომ ერთ-ორი წლის შემდეგ კიდევ უფრო მეტად პროფესიონალები იქნებიან: ჩვენ მათ მუდმივად ვწვრთნით. მათ კი, ვინც ეს ყველაფერი დაუკვეთა (არ ვიცი, რუსეთის უშიშროების ფედერალურ სამსახურთან ერთად ვინ გეგმავს ამ ყველაფერსძ, სწორედ იმაზე ჰქონდათ გათვლა, რომ პოსტსაბჭოთა სივრცეში დემოკრატებში შოკი გამოეწვიათ. ეს ყველაფერი „სატელევიზიო სურათზე“ იყო გათვლილი და დამკვეთებმა, როგორც ჩანს, ამ მიზანს მიაღწიეს. თუმცა ვფიქრობ, მიზანს ჩვენც მივაღწიეთ, რადგან ეს საქართველოში ქუჩის პოლიტიკის დასასრულია.

**— და მაინც, თუ ვიდეორგოლების კადრების მიხედვით ვიმსჯელებთ, ნამდვილად საჭირო იყო ადამიანების ასე ცემა? — ისინი ხომ საავადმყოფოებში აღმოჩნდნენ...**

— დემონსტრანტებს შორის საავადმყოფოებში სერიოზულად დაზიანებული არავინ არის. არსებობს ორი სერიოზულად დაზიანებული პოლიციელი. კადრებში ჩანს, რატომ მოხდა ეს. ჩვენ ოპოზიციონერებს სხვა ადგილზე გადასვლა შევთავაზეთ — ნებისმიერ სხვა ადგილზე ქალაქის ცენტრში და არა სადმე გარეუბანში, თუნდაც პრეზიდენტის სასახლის წინ, მაგრამ ცოტა მოშორებით იმ ადგილიდან, სადაც დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ აღლუმზე არმიას უნდა გაევლო, თუმცა მათ სწორედ შეტაკება სურდათ და რაც მოხდა, შემთხვევითი არ არის. რა არის დასავლური დემოკრატია? - ეს პროცედურაა და ამ შემთხვევაში ყველა პროცედურა ბოლო წუთამდე დაცული იყო, რათა როგორღაც კომპრომისი მოძებნილიყო. სხვათა შორის, საქართველოში აკრედიტებულმა აშშ-ის, დიდი ბრიტანეთის და ევროკავშირის რიგი ქვეყნების ელჩებმა დაადასტურეს, რომ ჩვენი ქმედებები კანონიერი და ლეგიტიმური იყო. სხვათა შორის, მე ამას ვაფასებ, რადგან მათი მხრიდან ჩვენი მისამართით ყოველთვის კრიტიკა ისმოდა. რა თქმა უნდა, თუ რამე იყო, რის შესახებაც თქვენ საუბრობთ, ეს გამოძიებული უნდა იყოს... პირადად ჩემთვის ეს, რა თქმა უნდა, ძალიან არასასიამოვნო სანახავი იყო...

**— ქართული მედია წერს, რომ ოპოზიცია რუსეთიდან ფინანსდებოდა, რომ ბურჯანაძემ 13 თუ 17 მლნ მიიღო. შეგიძლიათ, ეს დაადასტუროთ?**

— ის, რომ ისინი იქიდან ფინანსდებიან, არანაირ ეჭვს არ იწვევს.

**— დოკუმენტური მტკიცებულებები გაგაჩნიათ?**

— ჩვენ უკვე ბევრი მტკიცებულება გვაქვს და ვფიქრობ, კიდევ უფრო მეტი წარედგინება საზოგადოებას.

**— თბილისში ასევე საუბრობენ იმის შესახებ, რომ საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში მომხდარი აფეთქებების უკან რუსული სპეცსამსახურები დგანან. ამბობენ, რომ თქვენს საპრეზიდენტო თვითმფრინავს, როგორც კი აფრინდება, რუსული ბაზებიდან რაკეტებს უმიზნებენ. ამას აქვს ფაქტობრივი მტკიცებულებები?**

— ჩვენ გვაქვს აბსოლუტურად უტყუარი მტკიცებულება იმისა, რომ რუსეთის მთავარი სადაზვერვო სამსახურის დივერსიული დანაყოფები აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე ჯგუფებს ამზადებენ იმისთვის, რომ საქართველოს შიგნით აფეთქებები განახორციელონ. ჩვენ ასეთი ბომბების დიდი ნაწილი ხელში ჩავიგდეთ, თუმცა, რა თქმა უნდა, რამდენიმე აფეთქდა. გასულ წელს ბათუმში ქართული პოლიციის ოფიცერი მოკლეს, ზუსტად ისე, როგორც იანდარბიევი მოკლეს თავის დროზე იმავე ტექნოლოგიით. ასევე აფეთქების გზით მოკლეს დასავლეთ საქართველოს რაიონული ადმინისტრაციის ხელმძღვანელი. სხვათაშორის, ბომბი რადიკალური ოპოზიციური „ლეიბორისტული პარტიის“ ოფისთანაც აფეთქდა და შედეგად ქალბატონი გარდაიცვალა. და ბოლოს, აფეთქება მოხდა ამერიკის საელჩოსთან. ისინი თავიდან საელჩოს ღობის აფეთქებას ცდილობდნენ, გარე ღობე ააფეთქეს კიდეც, თუმცა უფრო ახლოს ვერ მივიდნენ. ორი კვირის შემდეგ მეორე ჯგუფი გამოგზავნეს, რათა საელჩოს ღობე ახლოდან აეფეთქებინათ, თუმცა ჩვენ ისინი ხელში ჩაგვივარდნენ. ეს ყველაფერი როგორც ჩვენი, ისევე სხვა ქვეყნების სპეცსამსახურების მიერაა დოკუმენტირებული. იქ რამდენიმე ჯგუფი მუშაობდა, რომლებმაც ამ ყველაფრის დოკუმენტირება განახორციელეს. ჩვენ ნატოს შტაბ-ბინაში ბრიფინგი გავმართეთ და პრინციპში, ჩვენი დასკვნები ბევრმა დაადასტურა.

იხ. 8 გვ.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

გარიგება

# ქართული ხელისუფლების აზროვნების სქემას კრემლში კარგად ფლობენ

*„საქართველო რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრებას არ დაბლოკავს“ — ამის შესახებ გავლენიანმა სააგენტომ „ტომსონ როიტერმა“ საკუთარ წყაროზე დაყრდნობით გვაუწყა. ამავე ინფორმაციით, სპეციალურმა სამუშაო ჯგუფმა უკვე დაიწყო შესაბამისი დოკუმენტების მომზადება იმ მიზნით, რათა რუსეთს ორგანიზაციაში მიღების შესახებ ოფიციალურად ეცნობოს. „ტომსონ როიტერის“ მტკიცებით, ყველა ფორმალური საკითხის მოგვარება მიმდინარე წლის ბოლომდე იგეგმება.*

*რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრების საკითხი განიხილეს რომში გამართულ შეხვედრაზე საქართველოს პრეზიდენტმა და ამერიკის ვიცე-პრეზიდენტმა. ეს ინფორმაცია ქართული მხარის შემდეგ ამერიკის პრეზიდენტის ადმინისტრაციამ ოფიციალურად დაადასტურა. სწორედ მიხეილ სააკაშვილის და ჯოზეფ ბაიდენის შეხვედრის შემდეგ ითქვა, რომ ამერიკა ქართულ-რუსულ მოლაპარაკებებში ჩარევას არ აპირებს და ამ კუთხით ზეწოლას არ მოახდენს.*



*საქართველო რუსეთისთვის სავაჭრო ორგანიზაციაში გასაწევრებლად ერთადერთი დაბრკოლებაა. შეგახსენებთ, რომ ქართულ-რუსული მოლაპარაკებების მე-3 რაუნდი ჩაიშალა. მიზეზად შუამავალი შვეიცარიის მიერ დასახელებული ტექნიკური საკითხები სახელდება.*

*საკითხზე განმარტებისთვის პოლიტოლოგ **სოსო ცისკარიშვილს** დავუკავშირდით:*

— არ მგონია საქართველოს დამოუკიდებლობისთვის, სააკაშვილის და ბაიდენის შეხვედრა გადამწყვეტი მნიშვნელობის ყოფილიყოს. ჩემი აზრით, ეს თემა თბილისსა და ვაშინგტონს შორის კულუარებში დიდი ხანია შეთანხმებულია. ორივე მხარე დაკვირვების პროცესშია. ისინი რუსული პოზიციის მკაფიო გაჟღერების მოლოდინში არიან.

თავად რუსეთიც ჯერ კიდევ შიდა გაუგებრობის დარეგულირების პროცესშია. იქაური საზოგადოებრივი აზრი, ვმო-ში გაწევრების მხარდასაჭერად მკაფიოდ არ არის ჩამოყალიბებული. გარკვეული პოლიტიკური ძალები ამის წინააღმდეგ გამოდიან. მოახლოებულ საპრეზიდენტო არჩევნებში, ვერც ერთი კანდიდატი, ასეთი გაწევრების შემთხვევაში მხარდაჭერილი ვერ იქნება. რადგან, უახლოეს პერიოდში ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში გაწევრებისთვის ნეგატიური პროცესები არის მახასიათებელი. პოზიტივი უფრო მოგვიანებით მოდის.

ვმო-ში გაწევრების შემთხვევაში, რუსეთს მოუწევს კვლავ შეამციროს იმპორტული ბაჟი, გაანთავისუფლოს სავაჭრო პროცესი სახელმწიფო მონოპოლიური მხარდაჭერისგან და ზოგადად, რუსეთში მძვინვარე სახელმწიფო კაპიტალიზმს ზღვარი დაუდოს.

შესაბამისად, ქვეყანა უმუშევრობის ახალი ტალღის წინაშე აღმოჩნდება. რუსული საქონლის არაკონკურენტუნარიანობის გამო, გარკვეული ფინანსური გართულებები სახეზე იქნება. აქედან გამომდინარე, რუსეთი ჯერ კიდევ ფიქრობს და ქართული ზღუდეები მისთვის ყველაზე პრინციპული არ არის.

კრემლში ქართული ხელისუფლების აზროვნების სქემასაც კარგად ფლობენ. იციან, რომ ომის წაგებისთანავე, საქართველო მზად იყო ენგურჰესთან დაკავშირებით რუსეთის ხელისუფლებასთან საიდუმლო მოლაპარაკებები ეწარმოებინა.

ასე რომ, არ გაუჭირდებათ, სანამ ბატონი ბენდუქიძე, ასეთი წარმატებული ხიდია რუსეთ-საქართველოს ეკონომიკურ ურთიერთობებში. ეს საკითხიც შეიძლება ისე მოგვარდეს, რომ მოსახლეობამ ვერც ვერაფერი გაიგოს პირობაზე, რომელზეც თბილისი და მოსკოვი შეთანხმდებიან. აქ თვითონ სააკაშვილთან შეთანხმებას ვგულისხმობ.

მაშინ რა პერსპექტივა ელის ქართული მხარის მიერ გაჟღერებულ ბოლო მოთხოვნებს — საბაჟოების ლეგალიზაციას და ემბარგოს მოხსნას?

— საუბარია რაიმე სახის ღირსეული გამოსავლის მოძიებაზე, რომ ქართულ ხელისუფლებას საკუთარი პრინციპულობით ტრაბახის საშუალება ჰქონდეს. თუმცა, საკითხავია, როგორ აისახება ასეთი წარმატება იმ სახით, როგორც ეს რუსულმა მხარემ გააჟღერა. აქცენტია რუსეთის მზაობაზე, საზღვარზე გადაადგილებებთან დაკავშირებით კოსმოსიდან მიღებული ინფორმაცია მოგვაწოდოს.

ეს ცხადია დამაჯერებელი იქნება მხოლოდ ნაციონალური მოძრაობის აპოლოგეტებისთვის. სინამდვილეში ეს ქვეყანა საქართველოს დასაბომბად საკუთარი თვითმფრინავების შემოსვლის ფაქტს მუდმივად უარყოფდა. ყოველთვის ამბობდა, გაურკვეველი წარმოშობის თვითმფრინავებია და აქეთ არაფერი შემოფრენილაო. მაშინ თუ აბრმავებდნენ თავიანთ კოსმოსურ თვალს, ახლაც სიამოვნებით დაიბრმავებენ, როდესაც რაიმე მსხვილი, კონტრაბანდული საქონლის პარტიის გატარებაზე ეცოდინებათ.

ამიტომ, ეჭვი მაქვს, რომ რუსეთთან გარიგების შემთხვევაში, მკაფიო და ყველასთვის გასაგებ სიყალბესთან გვექნება საქმე, ყოველგვარი სიყალბის რეალობად მოჩვენებაში, ნაციონალური მოძრაობის დიდი გამოცდილების მიუხედავად. თუმცა, ეს ბოლო სიყალბე ჩვენი პოლიტიკური ელიტის მიერ არასოდეს იქნება აღიარებული.

**გერა მამულაშვილი.**

Presage.tv




პროტესტი

# 26 მაისის ობიექტური შეფასების გამო დასაჯეს?

**შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტმა „მედიაპალიტრის“ 6 სხვადასხვა შპს-ში არაგეგმიური შემოწმება ერთდროულად დაიწყო. ამ დროისთვის დალუქულია „პალიტრა,“ სტამბების და პოლიგრაფიული მასალების საწყობები.**

საზოგადოებრივი დამცველი შემოსავლების სამსახურს მოუწოდებს, საზოგადოებას აუხსნან მედია ჰოლდინგ „პალიტრას“ არაგეგმიური შემოწმების მიზეზები, — ამის შესახებ აღნიშნულია საზოგადოებრივი დამცველის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

განცხადების თანახმად, იმ დროს, როდესაც ხელისუფლების მხრიდან მასმედიის საშუალებით ყოველდღიურად ისმის, თუ როგორ უწყობენ ხელს ბიზნესის განვითარებას, მეწარმეების შემოწმება რამდენად გამჭვირვალე და უმტკივნეულო პროცედურად გადააქციეს, სრულიად გაუგებარია მედია ჰოლდინგ „პალიტრას“ არაგეგმიური შემოწმება.

საზოგადოებრივ დამცველს მიაჩნია, რომ ჰოლდინგის შემოწმება საეჭვოდ დაემთხვა ამ ჰოლდინგის მიერ 26 მაისის მოვლენების სრულყოფილად და ობიექტურად გაშუქებას. ზემოხსენებულიდან გამომდინარე, საზოგადოებრივი დამცველი მოუწოდებს შემოსავლების სამსახურს, აუხსნან საზოგადოებას არაგეგმიური შემოწმების მიზეზების შესახებ და მაქსიმალურად დაიცვან მოქმედი კანონმდებლობა.



**„მედია პალიტრის“ შემოწმებას გამოეხმაურნენ: ტელეკომპანია „თრიალეთი,“ გაზეთი „ასავალ-დასავალი,“ ქრისტიან-დემოკრატები,“ „ქართული პარტია,“ „ლეიბორისტული პარტია,“ „თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერი ირაკლი ალასანია...**

**„პირობას გაძლევთ, რომ „პალიტრას“ უკვე აღარ დაგითმობთ“,** — ამ სიტყვებით მიმართა ხელისუფლებას რადიო „პალიტრის“ ეთერით საკრებულოს ფრაქცია „ქრისტიან-დემოკრატების“ თავმჯდომარემ ინგა გრიგოლიამ.

მან მოუწოდა ხელისუფლებას, სასწრაფოდ შეეშვას „მედია პალიტრას“ და თავი დაანებოს თავისუფალ მედიაზე ზეწოლას. **„მინდა, მოვუწოდო ხელისუფლებას: გეყოთ ტელევიზიებში შეჭრა! გეყოთ „იბერიაში“, ტელეკომპანია „იმედში“ შეჭრა! პირობას გაძლევთ, რომ „პალიტრას“ უკვე აღარ დაგითმობთ!“,** — დასძინა გრიგოლიამ.

„ქრისტიან-დემოკრატების“ ერთ-ერთი ლიდერი დარწმუნებულია, რომ ხსენებული ფაქტი „პალიტრის“ მიერ 26 მაისის მოვლენების ობიექტურ გაშუქებას უკავშირდება.

**„ყველა ადამიანი ობიექტურ ინფორმაციას მხოლოდ „პალიტრა ტვ“-დან და „მაესტროდან“ იღებდა. ეს შემოწმება არ შეიძლება იყოს რიგითი და შემთხვევითი. მე ამ ფაქტმა ის დრო გამახსენა, როდესაც სააკაშვილი და მისი „ნაციონალური მოძრაობა“ მიტინგებს უმართავდა შევარდნაძეს, როდესაც მაშინდელი საგადასახადო პოლიცია შემოსავლების შემოწმების მიზნით „რუსთავი 2“-ში შევიდა. როგორი საპროტესტო გამოსვლები მოყვა ამას!“,** — დასძინა გრიგოლიამ.

„მედიაპალიტრაში“ შემოსავლების სამსახურის მიერ არაგეგმური შემოწმების დაწყებას პოეტი რატი ამაღლობელიც გამოეხმაურა.

მან რადიო „პალიტრის“ გადაცემა „რეზიუმეში“ განაცხადა, მნიშვნელოვანი პატარ-პატარა კერებიც, რომელიც დარჩა, ბუნებრივია სრულიად ზედმეტია ხელისუფლებისთვის და იგი ეცდება გარკვეული პრობლემები შეუქმნას თუნდაც „მედიაპალიტრას“.

**„ეს უკვე კლასიკური სიუჟეტია, რომელიც ყველაზე „კარგად“ განვითარდა რუსეთში. ვფიქრობ, რუსული მედიის გაკონტროლება, რომელიც პუტინის ხელისუფლებაში მოსვლისთანავე დაიწყო, ძალიან „კარგი“ მაგალითი და სასწავლო გეგმაში იყო ჩვენი ხელისუფლებისთვის“,** — აღნიშნა მან.

ამ შემოწმებას ჟურნალისტების პროტესტი მოჰყვა სოციალურ ქსელ „ფეისბუქზეც,“ ისინი სიტუაციიდან გამოსავალს სოლიდარობის აქციის გამართვაში ხედავენ.

**ნატა ნიბლაძე**

# „მედიაპალიტრის“ განცხადება

**7 ივნისს „მედიაპალიტრის“ 6 შპს-ში შემოსავლების სამსახურმა შემოწმება ერთდროულად დაიწყო; მათ შორის 4 კომპანიის საწყობები დაილუქა ინვენტარიზაციისთვის.**

**„მედიაპალიტრა“ არ არის საგადასახადო შემოწმების წინააღმდეგი ზოგადად, თუმცა ერთდროულად 6 სხვადასხვა შპს-ში მოულოდნელი შემოწმების დაწყება ლოგიკურად ბადებს ეჭვს და იწვევს შეშფოთებას, ხომ არ არის ეს მიზანმიმართული მცდელობა, მოხდეს მედიასახლზე გარკვეული ზეწოლა?**

**„მედიაპალიტრის“ ჰოლდინგში შემავალი საინფორმაციო საშუალებები ჩვეულებრივ რეჟიმში განაგრძობენ მუშაობას, თუმცა გუშინ დილით მაკონტროლებლების მუშაობის გამო იყო გარკვეული შეფერხებები გაზეთების (აღსანიშნავია, რომ ამ სტამბაში „მედიაპალიტრის“ გამოცემების გარდა, სხვა ჟურნალ-გაზეთებიც იბეჭდება) დისტრიბუციასთან დაკავშირებით.**

**„მედიაპალიტრა“ წარმოადგენს ჰოლდინგს, რომელიც აერთიანებს, როგორც სხვადასხვა მედიასაშუალებებს (ბეჭდური, ინტერნეტი, რადიო), ასევე, მათი მუშაობისა და განვითარებისთვის მნიშვნელოვან სამსახურებს (პრესის გავრცელების სამსახური, სტამბა, წიგნების გამომცემლობა, წიგნების მაღაზიათა ქსელი, ქაღალდისა და პოლიგრაფიული მასალების იმპორტიორი კომპანია და სხვა).**

**„მედიაპალიტრის“ სხვადასხვა სტრუქტურებში დღეისთვის დასაქმებულია ათასზე მეტი ადამიანი.**

**„მედიაპალიტრა“ მადლობას უხდის ყველა ორგანიზაციასა და ადამიანს, რომლებმაც თანადგომა გამოხატეს ჩვენს მიმართ.**

## „მედიაპალიტრის“ ეზოში სოლიდარობის აქცია გაიმართა

**ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის საბჭოს ინიციატივით, „მედიაპალიტრის“ ეზოში სოლიდარობის აქცია გაიმართა.**

**სოლიდარობის აქცია საათზე მეტხანს გაგრძელდა. ჟურნალისტები და საზოგადოების წარმომადგენლები „მედიაპალიტრის“ კუთვნილ საწარმოებში შემოსავლების სამსახურის შესვლას მედიასახლის მიერ 26 მაისის მოვლენების ობიექტურად გაშუქებას უკავშირებენ.**

**აქციაზე პოლიტიკოსებიც გამოჩნდნენ.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

ხბო აკუნტრუშებულა..



***ფილმ „აგვისტოს 5 დღის“ პრეზენტაციასთან დაკავშირებით, თბილისში გამართული ღონისძიებების კულტურულ-ესთეტიკურ თავისებურებებსა და იმაზე, თუ როგორ აისახება მისი შედეგები ქართულ კულტურაზე, „ინტერპრესნიუსი“ კულტუროლოგ ლელა იაკობიშვილს ესაუბრა.***

**— ქალბატონო ლელა, რა შთაბეჭდილება დატოვა თქვენზე რეჟისორ რენი ჰარლინის, ჰოლივუდის ვარსკვლავების ენდი გარსიასა და შერონ სტოუნის მონაწილეობით ფილმ „აგვისტოს 5 დღის“ გლამურულ-პომპეზურმა პრეზენტაციამ და შემდგომ რუსთაველის თეატრში გამართულმა საქველმოქმედო ღონისძიებამ? ფაქტია, რომ ყველა მიღებული ეტიკეტის დაცვით მსგავსი ღონისძიება თბილისში არ ჩატარებულა, ყველაფერი დასავლურის კოპირება-მიბაძვაში ქართველებს უნიჭობას მართლაც ვერავინ დაგვაბრალებს, მაგრამ ხომ არ გადავაჭარბეთ კიდეც რაღაც-რაღაცებში, ბევრი ჩვენი მოქალაქე ფილმის პრეზენტაციით გაღიზიანდა კიდეც...**

— უნდა მოგახსენოთ, რომ პრეზენტაციის მთელი ფორმატი მართლაც შთამბეჭდავი იყო (მართალია, მე მხოლოდ ტელევიზიით ვნახე და ისიც ფრაგმენტები). უმთავრესი საკითხი კი, ალბათ სხვა გახლავთ. თავად „ევროპული სტანდარტებით“ შესრულებული პრეზენტაცია და პრემიერა სრულიად არაადეკვატური იყო იმ თემის მიმართ, რომელსაც ფილმი ეხებოდა. ამით სულ არ მინდა იმის თქმა, რომ ომის თემაზე გლოვა პერმანენტულ რეჟიმში უნდა გაგრძელდეს, აღარსად აღარ უნდა ამოვისუნთქოთ და გავიხაროთ. მაგრამ ის, რაც გადამღები ჯგუფის ვიზიტისას ხდებოდა, ტოვებდა შთაბეჭდილებას, რომ ჩვენ ჯერ არ ვართ თვითკმარები, ჩვენ ისევ სხვათა მიმართ ვდგინდებით, ჩვენ ჯერაც ვერ დაგვიძლევია ის კომპლექსი, რომ არასრულფასოვანი სამყაროდან მოვდივართ. ჯერ ჩვენ დანარჩენი სამყაროდან ისევ აღიარებას ველით და ყურადღების მიქცევის ასეთ ხერხებს მივმართავთ. ჩვენ გვინდა, რომ ეკრანის მსოფლიო ვარსკვლავებმა გვაღიარონ, ჩვენ გვინდა, მსოფლიო ზეპურთა მარაქაში და მათ სივრცეში გავერიოთ და, უნდა გითხრათ, რომ აქ დასაძრახიც არაფერია, თუ არა ერთი გარემოება — ეს უცნაური ზარ-ზეიმი სრულიად არაადეკვატურია არა მხოლოდ წაგებული ომის თემის და მისი შედეგების მიმართ, არამედ იმ ვითარების მიმართაც, რაშიც დღევანდელი საქართველოა — წაგებული ომი, დაკარგული ტერიტორიები, სიდუხჭირე და სიბეჩავე საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობისა; შიდა პოლიტიკური დაპირისპირება და 26 მაისის მოუშუშებელი ტკივილები.

ერთი უცნაური რამე გვჭირს. ჩვენი ე. წ. საზეიმო თარიღები ტრაგედიასთან და სისხლთან გვაკავშირებს და ვეღარ მივმხვდარვართ, რა გვჭირს, დუმილი სჯობს, თუ — ზეიმი. ზეიმით იმის გადაფარვა გვინდა, რაც არ გვინდა რომ გვახსოვდეს, არადა, სწორედ ზეიმი გვახსენებს მომხდარს და არაადეკვატურები ვხდებით, გროტესკულები, ტრაგიკომიკურები. აი, ეს არის ჩვენი დრამა და თითოეულ ჩვენგანს ეხება, გამონაკლისის გარეშე, რადგან ზოგი ამ

# ვეღარ მივმხვდარვართ, დუმილი სჯობს, თუ – ზეიმი



დრამის ავტორია, ზოგი — შემსრულებელი, ზოგიც — გულანთებული მაყურებელი. თვითშეფასების უნარი ყველას დაკარგული გვაქვს — ამ ყოველივეს ავტორსაც და „დადებითად“ თუ „უარყოფითად“ მაყურებელ-შემფასებელსაც. ეს არის, რასაც ვგრძნობთ და მოდის ის კითხვა, რომელიც დამისვით: ხომ არ გადავაჭარბეთ რაღაც-რაღაცებში?

**— ემოციურად, მართლაც შთამბეჭდავი იყო რენი ჰარლინის მიერ თბილისის აეროპორტში ქართული მიწის კოცნა; ენდი გარსიასა და სხვათა მხრიდან საქართველოსადმი სიყვარულისა და პატივისცემის გამოხატვა. სტუმართა მხრიდან ქართულ ჭაჭაზე, ხინკალსა და ხაჭაპურზე საუბრებმა უნებლიედ, წარსულში რუსი ხელოვანების მხრიდან მსგავსი, ასევე, გულისამაჩუყებელი ტექსტები გამახსენა; დრომ კი დაგვანახა, რომ რუს ხელოვანთა უმრავლესობა გულწრფელი არ ყოფილა. რენი ჰარლინის, ენდი გარსიასა და მომხიბვლელი შერონ სტოუნის საწინააღმდეგო ნამდვილად არაფერი მაქვს, მაგრამ ჩვენი კულტურულ-პოლიტიკური ურთიერთობების გამოცდილების ხალხი სხვათა მიმართ ზედმეტად ხომ არ ვავლენთ ხბოს კუნტრუშის სინდრომს და საკუთარ შესაძლებლობებში თავდაუჯერებულობის დეფიციტს...**

— მადლობის მეტი რა გვეთქმის, თუ ვინმე ჩვენს მიმართ მაღალ მგრძნობელობას გამოამჟღავნებს, მით უფრო, თუ მათი მხრიდან ეს სიყვარულისა და პატივისცემის გამოხატვაა. ერთი ფაქტია, ადამიანებს, მით უფრო არტისტებს (ხელოვნების მსახურთ) როცა ამგვარ პომპეზურ დახვედრას უწყობ, უნებლიედ თავს ვალდებულად მიიჩნევს, ხაზი გაუსვას, რომ შეამჩნია, როგორც თქვენ ბრძანებთ, ჩვენი „ხბოს აღტაცება“ და გამოხატოს იმ ფორმებით, რომლითაც მას ხელეწიფება. მეორე მხრივ, ესეც რომ არა, ეტიკეტი მოითხოვს მისგან გარკვეულ ქცევას. ძნელად წარმომიდგენია ადამიანი, ვინც უცხო კულტურაში მიწვევით ჩავა და იმ კულტურის კერძებს დაიწუნებს, იმ ქალაქს დაიწუნებს, სადაც ასე შეხვდნენ, მით უფრო, არც არაფერი სჭირს დასაწუნი არც ხაჭაპურსა და არც - თბილისს. კიდევ ვიმეორებ - ეს არტისტის ემოციური ჟესტი იყო. ძნელად წარმომიდგენია რომელიმე ქვეყნის პოლიტიკოსმა და ოფიციალურმა პირმა ეს გააკეთოს. რაც შეეხება რუს ხელოვანებთან პარალელს, მათაც ალბათ ასე ხვდებოდნენ ქართველი ხელისუფალნი. ამიტომ მე გამიჭირდებოდა რუსი ან ამერიკელი ხელოვანების არაგულწრფელობაზე მეთქვა რამე. ეს სიტუაციური ემოციური პასუხია განცდილ შთაბეჭდილებებზე, რომელიც შესაძლოა, სულაც არ ცვლის შენს მიმართ იმ ქვეყნის პოლიტიკურ ინტერესს, რომელსაც ისინი წარმოადგენენ.

**— ყველაფერი ჰოლივუდის სტანდარტებით განხორციელდა, რჩება შთაბეჭდილება, რომ ამ ფილმის შემდეგ საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში შესაძლოა, ახალი ეტაპიც კი დაიწყოს. თქვენ ამას წინათ ბრძანეთ — „ჩვენ გვაქვს როგორც ფიზიკური, ისე ინფორმაციული ტერორის განცდა“. ხომ არ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამ ტიპის „ზეწოლამ“ კულტურაზეც ჰპოვოს ასახვა?**

— ეგ ძნელი წარმოსადგენია. კულტურა თავად გახლავთ რეჟიმი და დეტერმინანტთა სისტემა. ის თავად კარნახობს პირობებს ხელოვნებასაც, პოლიტიკასაც და ყოფასაც. ამ სფეროში განმგებელი პოლიტიკოსი და პოლიტიკა არ გახლავთ. კულტურშემოქმედება ერთი მხრივ სოციალური სხეულის თვისებაა, მეორეს მხრივ კი ერთეულ შემოქმედთა ძალისხმევის შედეგი და პროდუქტია. ვერც ერთი პოლიტიკოსი ვერ განსაზღვრავდა ილია ჭავჭავაძის ან თუნდაც ნიცშეს დაბადებას. მათ საკუთარი შემოქმედებითი ნებით შეცვალეს სოციალური სივრცე. ასეთების დაბადება- არდაბადება მხოლოდ ღვთის ნებაა.

ენერგეტიკული ველი, რომელიც შემოქმედის შექმნილი და შესაქმნელია, სოციალური სხეულისთვის მზამზარეული სასიცოცხლო სივრცეა, რომელსაც აითვისებს და გაითავისებს, რომელშიც დაბინავდება, როგორც საკუთარში, ამიტომ აქვს სოციალურ სხეულს ასეთი იდენტობა შემოქმედისადმი. რას შეეხება იმას, რომ ზეწოლამ შესაძლოა, კულტურაზეც ჰპოვოს ასახვა, ეს სრულიად შესაძლებელია. თუმცა, ქმედება შობს ტოლსა და საწინააღმდეგო უკუქმედებას. ამიტომაც რეპრესიული კულტური ეპოქის შემოქმედები არიან თომას მანი, მიხეილ ბულგაკოვი და სხვანი.

**— ამას წინათ თქვენ გამოთქვით მოსაზრება, რომ „ჩვენ შემთხვევამ გვარგუნა, აღმოვჩენილიყავით დასავლური იდეოლოგიის სივრცეში, მაგრამ დასავლეთისგან ვერ შევძელით დასავლური ძალაუფლების სტრუქტურაში გარკვევა და ჰორიზონტალური ურთიერთობების, ანუ ისეთი ურთიერთობების ათვისება, როცა საზოგადოებრივ ცხოვრებაში უმთავრესი კანონის დაცვაა“.**

**ვითარებაში, როცა დასავლეთის ქვეყნებში დემოკრატია კულტურის ნაწილია, ხოლო ჩვენ საკმაოდ შორს ვართ, როგორც დასავლური ტიპის დემოკრატიისგან, ასევე დემოკრატიული ცხოვრების წესისგან, რამდენად სავარაუდოა, რომ ქვეყანაში დასავლური ფასეულობების დამკვიდრება სწორედ დასავლური კულტურის დამკვიდრებით გახდეს შესაძლებელი?**

— კულტურა სრულიად თვითკმარი რამ გახლავთ. მიუხედავად იმისა, რომ ღიაა სხვა კულტურებისთვის, იმდენად არის თვითმყოფადი, რამდენადაც ავტონომიურად შეუძლია შეინარჩუნოს შემოქმედებითი მუხტი. ის, რაც მის სივრცეში შემოდის, მხოლოდ იმდენად ხდება მისი ნაწილი, რამდენადაც იდენტურია შემოსული ნაკადის მიმართ.

რაც შეეხება ევროპული დემოკრატიისთვის ჩვეულ ჰორიზონტალურ კომუნიკაციას, ჩვენ აქ ძალიან გაგვიჭირდა, რადგან ჯერჯერობით უცხო აღმოჩნდა ქართული სამყაროსათვის. ამას, რა თქმა უნდა, თავისი ისტორიული მიზეზიც აქვს. დასავლეთში დემოკრატია, როგორც ცხოვრების წესი, გაჩნდა მაშინ, როცა მეფის ინსტიტუტი თავად სოციალურმა ორგანიზმმა ჩაანაცვლა არჩევანის (არჩევნების) ინსტიტუტით. ეს პერიოდი კი, ჩვენთვის ისტორიული წყვეტის პერიოდია. უკანასკნელი ორი საუკუნე ისე გავიდა, რომ მეფის ინსტიტუტის გაუქმება სულაც არ უდრიდა ვერტიკალური ძალაუფლების რღვევას, პირიქით. ჰორიზონტალური კომუნიკაცია, ჩვენს გამოცდილებაში არ ყოფილა. ამიტომაც ხელისუფალსაც უჭირს და რიგით ადამიანსაც, ამოიღოს მსგავსი გამოცდილება საკუთარი გენეტიკური მეხსიერებიდან.

ჰორიზონტალური კომუნიკაციის, როგორც ახალი პარადიგმატული სივრცის ათვისებას, ჩვენი კულტურა მხოლოდ ახლა იწყებს და ფაქტია, რომ უჭირს. ამიტომ არის, რომ ქვეყანაზე პასუხისმგებლობას ერთ ადამიანს, კერძოდ პრეზიდენტს ავკიდებთ ხოლმე და ისიც დიდებულად იფერებს ქვეყნის მბრძანებლის სტატუსს. არც ჩვენ გვინდა პასუხისმგებლობის აღება და არც ხელისუფალს დელეგირება. შედეგი კი ისეთია, როგორიც არის. ჩვენ სამი პრეზიდენტის მმართველობა გამოვცადეთ და სამივე შემთხვევაში ერთ წრეზე ვტრიალებთ. ძალიან მნიშვნელოვანია, აითვისებს თუ ვერა ქართული კულტურა ჰორიზონტალური კომუნიკაციის მექანიზმებს; იპოვის თუ არა საკუთარი კულტურის სხეულში ასეთი კომუნიკაციის მიმართ მგრძნობიარე წერტილებს. დღეს ეს დროისა და ეპოქის გამოწვევაა და მხოლოდ ის იქნება ინდიკატორი, თუ როგორ მონაწილეობს საქართველო მსოფლიო საკომუნიკაციო სისტემაში და არა ის, ჰოლივუდის რომელ ვარსკვლავს რამდენად პომპეზურ დახვედრას მოვუწყობთ.

**კობა ბენდელიანი**

ინფორმაცია

## ანგელა მერკელის უმაღლესი ჯილდო

**აშშ-ს პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელი აშშ-ს უმაღლესი ჯილდოთი — თავისუფლების მედლით დააჯილდოვა.**

**— გვინდა, პატივისცემა გამოვხატოთ ლიდერის მიმართ, რომელიც მილიონობით ადამიანს შთააგონებდა მთელს მსოფლიოში და მათ შორის მეც. ეს ჩემი მეგობარი ანგელა მერკელია, — განაცხადა ობამამ თეთრ სახლში კანცლერის საპატივსაცემოდ გამართულ წვეულებაზე.**

**თავისუფლების მედალი - აშშ-ს უმაღლესი ჯილდოა, რომელიც სამოქალაქო პირებს ენიჭებათ. იგი გადაეცემა იმ ადამიანებს, რომლებმაც განსაკუთრებულად ფასეული წვლილი შეიტანეს სამშვიდობო და კულტურულ საქმიანობაში.**

## აფხაზეთი საპრეზიდენტო არჩევნებისთვის ემზადება

**სეპარატისტულ აფხაზეთში რიგგარეშე ე.წ. საპრეზიდენტო არჩევნები მიმდინარე წლის 26 აგვისტოს დაინიშნა. ინფორმაციას ამის შესახებ რუსული მედია ავრცელებს.**

**— აფხაზეთის პარლამენტმა მიიღო გადაწყვეტილება აფხაზეთის რესპუბლიკის ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნების 26 აგვისტოს დანიშვნის შესახებ, — იუწყება რუსული მედია.**

**აღსანიშნავია, რომ სეპარატისტებმა ეს თარიღი შემთხვევით როდი აირჩიეს. 2008 წლის 26 აგვისტოს რუსეთის ფედერაციამ თავის მიერ ოკუპირებული საქართველოს ამ რეგიონის „დამოუკიდებლობა“ აღიარა.**

ჯი-ეიჩ-ენი

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

გლობუსი

**პოლიტიკური ბრძოლის პროცესში ყველაფერია მიღებული – დაშვებულიც და დაუშვებელიც – კრივში რომ წელს ქვევით დარტყმას ეძახიან. სამწუხაროდ, პოლიტიკური დაპირისპირების რაფინირებულობით არც დემოკრატიის უცილობელი ლიდერი – ევროპული ქვეყნებია უმწიკვლონი და რა გასაკვირია, რომ საქართველო ამ მხრივ იყოს გამორჩეული? მე ნეგატივი მაქვს მხედველობაში და არა პოზიტივი. დიახ! საქართვლეო სწორედ ის ქვეყანაა, სადაც ზენიტშია აყვანილი პოლიტიკური პარტიების მიერ ერთმანეთის ლანძღვა და არა მარტო ერთმანეთის, არამედ ხელისუფლების, რაც არ არის გასაკვირი, ვინაიდან მოჭარბებულად ემოციურები ვართ და დედის გინების გარეშე ვერ ვახერხებთ სათქმელის თქმას. გარდა ამისა დემოკრატიისგან ისე შორსა ვართ, როგორც დედამიწა მთვარისგან. ხელისუფალთა დაბეჯითებული მტკიცების მიუხედავად ევროპულ ოჯახში „დაბრუნებასთან დაკავშირებით", მაინც არაფერი გვეშველა. როგორც ჩანს, სურვილი კი გვაქვს იქ ვიყოთ, მაგრამ ქართულად, ჩვენი პოლიტიკური ლექსიკით და ხმამაღალი განცხადებებით. მაგალითების მოსაყვანად ტვინის ჭყლეტა არ დაგჭირდებათ. საკმარისია ერთხელ მაინც ყური დაუგდოთ პრეზიდენტს ან მის საგარეო საქმეთა მინისტრს, უმალ დარწმუნდებით, რომ არც ევროპაში ვართ და არც დიპლომატიისთვის შესაფერი ლექსიკა გვისწავლია.**

**ერთი სიტყვით, ხელისუფლება ლანძღავს შინაურსა და გარეულს, ყველას ვინც მას თვალში არ მოსდის. შინაურში – უპირველესად დაუმორჩილებელ ოპოზიციას ანუ ქუჩაში მყოფს, გარეულში – რუსეთს. გარეულის მიმართ ერთობ ენაწყლიანი იყო რომში მყოფი პრეზიდენტი. მის მიერ მიცემულ ინტერვიუში ხაზგასმით აღინიშნა (უკვე მერამდენედ) კრემლის მზაკვრული პოლიტიკის შესახებ. ითქვა ისიც თუ როგორ უნდა დააღწიოს მსოფლიომ თავი არადემოკრატიული და კორუმპირებული რუსეთის გამოწვევისგან. საქართველოს პრეზიდენტს, რეგიონის „დემოკრატიის შუქურას" მარტო „რეგიონი" აღარ აკმაყოფილებს და რუსეთის „გამოაშკარავების" საქმეში მსოფლიოს ლიდერობას იჩემებს.**

სააკაშვილი ცდილობს, მსოფლიოს დაანახოს რუსეთის „ნამდვილი სახე". და ისმის „ზედიპლომატიური" ლინგვისტიკა. პრეზიდენტის ტერმინოლოგიას მხარს უბამს სააკაშვილზე მეტად სააკაშვილი ვაშაძე – საგარეო საქმეთა მინისტრი. რუსეთის ავად ხსენებაში ის ტოლს არავის უდებს, მათ შორის პრეზიდენტსაც. დიპლომატიც ამას ჰქვია – დედის პირდაპირ გინებასაც უნდა შემართება, რაშიც მინისტრს წუნს ვერ დასდებთ. ოღონდ ერთია სახლში ლანძღვას თუ უსიამოვნება არ ახლავს, გარეთ ლანძღვა სახიფათოა, უპირველეს ყოვლისა ქვეყნისთვის.

და როდესაც ხელისუფლება ლანძღვის შესაშურ მაგალითს იძლევა, ხშირ შემთხვევაში დაუმსახურებლის, ოპოზიცია, რა ოპოზიციაა, რომ ეს თვალსაჩინო მაგალითი არ გადაიღოს და ხელისუფლებას ხელისუფლების მიერ გამოგონილი იარაღით არ ებრძოლოს. უკიდეგანო ბრძოლაში, ხშირ შემთხვევაში, რომ ობიექტურობა იკარგება – ეს არავის აღელვებს, არც ოპოზიციას და არც ხელისუფლებას. მთავარია თქმა. ვინც პირველი იტყვის – გამარჯვებულიც ის არის. მოპასუხე უფრო თავის მმართლებელს გავს. ამდენად, პირველი მთქმელი მოგებულია, თუნდაც მისი ნათქვამი შორს იყოს ჭეშმარიტებისგან.

ასე და ამრიგად ხელისუფლების, განსაკუთრებით პრეზიდენტის „გასაშავებლად" ოპოზიციამ კიდევ ერთხელ წამოჭრა ირანისა და იქედან საქართველოში ტერორისტების შემოსვლის საკითხი და ეს ყველაფერი დაუკავშირა ორ ქვეყანას შორის სავიზო რეჟიმის გაუქმებას. ახსენეს ამერიკაც – საქართველოს სტრატეგიული პარტნიორი – მას არ მოეწონება ირანთან ვიზების გაუქმებაო. პრეზიდენტს დაუწუნეს პოლიტიკა – დასავლეთისკენ მიმავალს, რა კავშირი უნდა ჰქონდეს ირანთანო და სხვა.

რომ იტყვიან – ტყეს ჭრიან, ნაფოტები ცვივა, ისეთ ვითარებასთან გვაქვს საქმე ანუ ორ ქვეყანას შორის სავიზო რეჟიმის გაუქმებაში, ირანის ისლამურ რესპუბლიკაში საქართველოს ელჩის, გიორგი ჯანჯღავას დადანაშაულების სახით. ტელეკომპანია „კავკასიის" ეთერში ვიზების გაუქმების საკითხი პრეზიდენტის ნაცვლად ჯანჯღავას თავზე გადატეხეს, ვითარცა ამ იდეის სულისჩამდგმელისა და აღმასრულებლის. მაინც რას უქადის საქართველოს ირანთან სავიზიო რეჟიმის გაუქმება? ვინ იყო ამ იდეის ნამდვილი ავტორი და სულისჩამდგმელი?

უპირველესად მოგახსენებთ, რომ ქვეყნებს შორის სავიზო ურთიერთობების საკითხს სწავლობს საგარეო უწყების საკონსულო სამსახური. მის მიერ შემუშავებულ დასკვნებს იხილავს სამინისტროს და ქვეყნის ხელმძღვანელობა. საბოლოო სიტყვა ამ რთულ და ხანგრძლივ პროცედურაში ხელისუფლებას, პრეზიდენტს ეკუთვნის. ასე რომ, ელჩი ვერ იქნება სავიზო რეჟიმის გაუქმების ერთადერთი და მთავარი ორგანიზატორი. ის შეიძლება იყოს ინიციატორი, მიღებული გადაწყვეტილების ოპერატიული შემსრულებელი, თუმცა ამ შემთხვევაში ინიციატივა ეკუთვნის არა ჯანჯღავას, არამედ ირანის მხარეს, რომელმაც აღმოსავლური დიპლომატიით ალღო აუღო გასული წლის ანტიირანულ ქმედებებს და რუსეთის გამოსაფხიზლებლად გადადგა ნაბიჯი.

# ვიზა ყოფილა ჩვენი დამაქცევარი

მკითხველმა კარგად უწყის იმ პოლიტიკურ-დიპლომატიური ქიშპის შესახებ, რასაც ადგილი ჰქონდა აშშ-სა და ირანს შორის. ეს ომი 30 წელზე მეტია მიმდინარეობს. ოფიციალურ ვაშინგტონს დღესაც ვერ მოუნელებია მეგობარი ირანის შაჰის, რეზა ფეჰლევის დამხობა, თეირანში აშშ-ის საელჩოს ხანგრძლივი ალყა, ირანის სათავეში სასულიერო პირთა მოსვლა. **შიიტური ირანი, მძლავრი ეკონომიკით, სოფლის მეურნეობით, მრეწველობით, გაწვრთნილი და შეიარაღებული არმიით, მეცნიერებით თვალსაჩინოა რეგიონში. ისლამური ირანი ჩაგრულ ხალხთა ქომაგად მოიაზრება არა მარტო ახლო აღმოსავლეთში, არამედ არაბულ სამყაროში. ირანის დამოუკიდებელი პოლიტიკა მოჭარბებულად აღიზიანებს არა მარტო ვაშინგტონს, არამედ რეგიონში მის მარჯვენა ხელს, ისრაელს. ვაშინგტონის გაღიზიანება კიდევ უფრო იზრდება ირანის ბირთვული კვლევის პროგრამიდან გამომდინარე. ბირთვულიარაღიანი ირანი მას კატასტროფად მიაჩნია, თუმცა მტკიცება იმისა, რომ ირანი მართლაც ამზადებს ბირთვულ იარაღს, ჭირს. ირანის მეთაური აიათოლა ხამენეი და პრეზიდენტი აჰმადინეჟადი რა ხანია კატეგორიულად აცხადებენ, რომ ირანის ბირთვული პროგრამა მშვიდობიანია და არაფერი აკავშირებს მასობრივი განადგურების იარაღთან.** ირანის ხელისუფალთა მიზანმიმართული პოლიტიკა იმ რეზოლუციის მიღების საბაბი გახდა, რასაც ადგილი ჰქონდა გასული წლის გაზაფხულს. აშშ-მა ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ დაეყოლიებინა რუსეთი და ჩინეთი ირანისათვის ახალი სანქციების დაწესებაში. ამერიკა-რუსეთს შორის დაწყებული „გადატვირთვის" პროცესში ერთ-ერთი საყურადღებო მომენტი არის ის, რასაც ჰქვია „დაახლოება" ირანის ხარჯზე. **რუსეთმა გადადგა ნაბიჯი ერთ დროს მისთვის ახლო მყოფი ქვეყნის საწინააღმდეგოდ – მხარი დაუჭირა რა აშშ-ის მიერ ინიცირებულ გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციას. ამაო გამოდგა ირანის პრეზიდენტის აჰმადინეჟადის გულდაწყვეტილი განცხადება კრემლის პოლიტიკოსთა მისამართით გაკეთებული – ახალ მეგობარს, თანაც ნაკლებად სანდოს, ისევ ძველი, გამოცდილი მეგობარი სჯობს.**

გაეროს უშიშროების საბჭოს ახალმა რეზოლუციამ გამოიწვია ირანის პოლიტიკოსთა და დიპლომატთა ინიციატივა საქართველოსთან ცალმხრივად სავიზო რეჟიმის გაუქმების თაობაზე. ეს აზრი ყოფილმა საგარეო საქმეთა მინისტრმა მანუჩეხრ მოთაქიმ საქართველოს ელჩს გიორგი ჯანჯღავას გაანდო თან სთხოვა აღნიშნულის თაობაზე საქართველოს ხელისუფლების საქმის კურსში ჩაყენება, რაც ელჩმა პირნათლად შეასრულა. ასე დაიწყო ორ მხარეს შორის მოლაპარაკება. საქართველოში სტუმრად იმყოფებოდა მოთაქი, რომელსაც შეხვედრა-საუბრები ჰქონდა საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებთან, მათ შორის პრეზიდენტთან.

გადაწყვეტილებისკენ ორივე მხარეს დიპლომატიურმა კონიუნქტურამ მოუწოდა – საქართველოს – აშშ-მა, ირანს – რუსეთმა. საქართველოს პრეზიდენტმა, ამერიკაში ხანგრძლივი დროით მყოფმა, ვერ მოახერხა თეთრ სახლში სტუმრობა, მიუხედავად ლობისტური ამერიკული ორგანიზაციების მოჭარბებული ძალისხმევისა, ისე, როგორც ირანმა ვერაფერი გააწყო ახალი სანქციების თვიდან ასაცილებლად.

ხანგრძლივი მოლაპარაკება წარმატებით დასრულდა გასული წლის ბოლოს. უვიზო მიმოსვლა ძალაში შევიდა მიმდინარე წელს.

**ირანთან უვიზო რეჟიმის დაწესებას ერთი ვიშვიში მოაყოლა ოპოზიციამ და ოპოზიციურად განწყობილმა პოლიტოლოგიამ. უმთავრესი საბაბი იყო ის, რომ ამერიკა განაწყენდებოდა, რასაც მართლაც ჰქონდა ადგილი, თუმცა, როდესაც ლაპარაკია რეგიონის ერთ-ერთ სოლიდურ მოთამაშეზე – შორეულის, თუნდაც სტრატეგიული პარტნიორის განაწყენება რა მოსატანია. ირანს აქვს ინტერესი კავკასიის ქვეყნების, მათ შორის საქართველოს მიმართ, რასაც ხელს უწყობს მრავალსაუკუნოვანი ისტორია, შიგადაშიგ ეკლიანი, მაგრამ მაინც ისტორია, გარდა ამისა რა დააშავა მან დღეს ისეთი, რომ არ ჰქონდეს უვიზო მიმოსვლა საქართველოსთან? მით უმეტეს, როდესაც ასეთი აქვს თურქეთს, სხვებს. სავიზო რეჟიმის გაუქმებას უკვე მოჰყვა ტურიზმის, ეკონომიკური კავშირების გაორმაგება. მარტო ბოლო ხუთი თვის მონაცემებით საქართველოში 13.000-ზე მეტი ირანელი იმყოფებოდა.**

ჯერჯერობით ვიზის გაუქმების საბაბით საქართველოში გადმოსული ტერორისტების ჭაჭანება არ არის. ცნობისთვის, გაიოლებული სავიზო რეჟიმი, რომელიც არსებობდა ორ ქვეყანას შორის, დიდ ბარიერს არ წარმოადგენდა საზღვრის გადმოკვეთის თვალსაზრისით. გარდა ამისა ტერორისტები რაღა ირანის გზას აირჩევდნენ, როდესაც სრულიად თავისუფლად შეეძლოთ არა მარტო თურქეთიდან, არამედ ევროპის ქვეყნებიდან შემოსვლა. მათთან საქართველოს ცალმხრივად გაუქმებული აქვს სავიზო რეჟიმი.

**ცნობისთვის მოგახსენებთ იმასაც, რომ ირანის ხელისუფლება სხვა ქვეყნებზე არანაკლები გულმოდგინებით ებრძვის ტერორიზმს. თვით ირანი არაერთხელ გამხდარა ტერორიზმის მსხვერპლი. ირანის რევოლუციის პირველსავე წლებში თეირანში ადგილი ჰქონდა შემზარავ ტერორისტულ აქტს, რომელმაც ირანის საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ნახევარი შეიწირა. ტერორისტულ აქტებს დღესაც აქვს ადგილი, რაც თავისთავად კარნახობს ირანის სამართალდამცავ ორგანოებს მუდამ იყვნენ ფხიზლად, მკაცრ საკონტროლო საცერში გაატარონ ირანში შემსვლელი ნებისმიერი უცხოელი. სავიზო რეჟიმის გაუქმება არ ნიშნავს სამართალდამცავი ორგანოების ყურადღების მოდუნებას, პირიქით მათ მეტი პასუხისმგებლობა ეკისრებათ.**

ხელისუფლების ზოგიერთი კრიტიკოსის აზრით საქართველოს არავისთან არ უნდა ჰქონდეს უვიზო მიმოსვლა, მით უმეტეს ირანთან. თუ ამ მოსაზრებას გავყვებით ენვერ ხოჯას დროინდელი ჩაკეტილი ალბანეთი მონაგონი იქნება საქართველოსთან. **მკითხველს ახსოვს საქართველოს „მხსნელთა" გულწასული განცხადებები ლარსის სასაზღვრო პუნქტის ამოქმედებასთან დაკავშირებით. მათი მაშინდელი ვარაუდით რუსები კარგა ხანია თბილისში უნდა ყოფილიყვნენ.**

დივერსიფიკაცია არა მარტო ენერგეტიკაში გამოიყენება, არამედ პოლიტიკაშიც, ცალმხრივმა ორიენტაციამ თუ სად მიგვიყვანა ცნობილია. მრავალმხრივი ურთიერთობა წაადგება ქვეყანას, განსაკუთრებით მეზობლებთან ურთიერთობა.

ცნობისთვის იმასაც მოგახსენებთ, რომ ხელისუფლების ანტისავიზო მოქმედების კრიტიკას საფუძველი ჩაუყარა ოქრუაშვილის ინტერვიუმ რუსული მედიისთვის, სადაც ის იხსენებს ჩეჩენი „ბოევიკების" საქართველოს ტერიტორიაზე გატარების ფაქტებს, იხსენებს რუსეთის პრეზიდენტ პუტინთან შეხვედრის მომენტებს, რომლის დროს პუტინს უთქვამს, რომ რუსეთში შესულ ტერორისტებს ტრაპიზონის საქართველოს საკონსულო გასცემს ვიზებს. ჯერ ერთი თურქეთიდან საქართველოში შემოსასვლელად სულაც არ იყო საჭირო ვიზის აღება ტრაპიზონში. ამ ოპერაციის განხორციელება შეიძლებოდა თბილისის აეროპორტშიც, გარდა ამისა ნებისმიერ ადამიანს გაუჭირდება ტერორისტის ამოცნობა. არსებობს „შავი სია", რომლითაც ხელმძღვანელობდა ტრაპიზონში მომუშავე მაშინდელი გენერალური კონსული ჯანჯღავა, რომლის დადანაშაულება მხოლოდ მაშინ იქნებოდა შესაძლებელი, თუ ის არ გაითვალისწინებდა შესაბამის ინსტრუქციებს. **ჯანჯღავა იმ იშვიათ ქართველ დიპლომატთა რიცხვს მიეკუთვნება, რომელიც გამოირჩევა საქმისადმი ყურადღებიანი, ერთგული დამოკიდებულებით, რაც გახდა მისი დაწინაურების მთავარ საბაბად – ელჩად (და არა კონსულად, როგორც ოქრუაშვილი ამბობს), ეგვიპტეში, შემდეგ ირანში. და არა ის, რომ ჯანჯღავა ტერორისტებს უშვებდა საქართველოში.**

არაკომპეტენტური, არაპროფესიონალური განცხადებები ოპოზიციონერთა მთავარ კოზირადაა ქცეული, რაც ხელისუფლებას ვერაფერს ვნებს, მაგრამ თვით ოპოზიციის პატიოსნებას წყალს უყენებს. ამიტომაც ხალხს ნაკლები ნდობა აქვს მისი.

**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
პოლიტოლოგი.

SIC!

## რას ითხოვენ ქართველი ემიგრანტები?

**8 ივნისს „ლეიბორისტული" პარტიის ბრიფინგის თემა ზვიად გამსახურდიას თანამოაზრეთა და საქართველოს ლეიბორისტული პარტიის მიერ ნიუ-იორკში, გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან გამართული**




**აქცია იყო. პარტიამ წარმოადგინა აქციის ამსახველი სამწუთიანი ვიდეომასალა. ისინი მოითხოვდნენ პრეზიდენტ სააკაშვილის გადადგომას და ორგანიზაციისაგან სანქციების დაწესებას საქართველოს მთავრობაზე.მონაწილეებს გამოფენილი ჰქონდათ პლაკატები წარწერით „სააკაშვილი დიქტატორი და მკვლელი!", SOS, STOP...**

**„ლეიბორისტულმა" პარტიამ „მედია პალიტრას " თანადგომა გამოუცხადა და დაგმო მისი დალუქვის ფაქტი. „26 მაისის მერე სააკაშვილი თავს დაესხა სიტყვის თავისუფლებას და დალუქა „მედია პალიტრა" ჩვენ თანადგომას ვუცხადებთ მათ და მოვითხოვთ ამ საქმის შემსრულებლების დასჯას", – განაცხადა სოსო შატბერაშვილმა.**

გულნაზ გახარია

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

მაფია ქართულად

# დაუსჯელობით ზღვარდაუდებელი

## კოდუების კლანის „ანატომია“ და სახე

**ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა თანაგუნდელებთან განაცხადა, რომ საზოგადოება ველარ იხილავდა თანამდებობის პირთა გამდიდრებას, წილებში ჩაჯდომასა და კორუფციას. მართლაც, დაიჭირეს და განდევნეს ის პირები, ვინც ხელს უშლიდათ და მოხდა ქონების გადანაწილება. სახელმწიფოს ზედა ეშელონებში ელიტარული კორუფცია შეიქმნა. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამდიდრებული კლანია კოდუების ოჯახი.**

**მართლაც, უმოკლეს პერიოდში — 2004-11 წლებში მან ათეულმილიონიანი ქონება დააგროვა არა პატიოსანი შრომით, არამედ წართმევა-წაგლეჯით, მოტყუება-მითვისებით და სხვა არაკეთილსინდისიერი მეთოდებით. მართალია, დედა — ლაურა ლაჭავაცა და შვილი დავით კოდუაც ინტერვიუებში აღნიშნავენ გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან ბიზნესის თვითმფრინავებით დაწყებაზე, მაგრამ არაფერს ამბობენ, თუ რა თანხებით დაიწყეს საქმიანობა და საიდან ჰქონდათ კაპიტალი.**

ხალხში უკვე ანეკდოტადაა გავრცელებული ამ ოჯახის „ფრთიანი“ ფრაზები. დავით კოდუა ასე ესალმება ახლობლებს: „როგორ ხართ? ვინმე ხომ არ გყავთ დასაჭერი? მზად ვართ“. ლაურა ლაჭავა კი თურმე ასე აშინებს შესასყიდი ქონების პატრონებს: „თქვენ მადას მე გაგიქრობთ“. ფაქტობრივად, კოდუების კლანი არაერთი მსგავსი საქმის ჩამდენია, მაგრამ კანონიერების არ ეშინია, ვინაიდან სახელისუფლებო ორგანოები მფარველობენ. **საინტერესო ფაქტია, რომ ქავთარაძის ქუჩაზე არსებული სამკურნალო კომბინატი დავით კოდუამ სიმბოლურ ფასად, 1000 ლარად შეიძინა. თანაც ეყო თავხედობა, რომ მისთვის „DKC“, ანუ „დავით კოდუას ცენტრი“ ეწოდებინა**. საკითხავია, რომელი სამედიცინო მიმართულებისა თუ დარგის ფუძემდებელია იგი, რომ საკუთარ თავს ასეთი პატივი დასდო? საბჭოთა კავშირში დაწესებულებებისთვის ცოცხალ პოლიტიკოსთა სახელების მინიჭება აკრძალული იყო. საკითხავია, დემოკრატიზმის გზით მივდივართ თუ უკან, კომუნისტურ ეპოქაში ვბრუნდებით? არც ამ თვალსაზრისით ეკუთვნის დ. კოდუას ასეთი პატივი, ვინაიდან იგი არც პიროვნულად და არც პოლიტიკურად ან საზოგადო მოღვაწეობით არაფერს წარმოადგენს. საზოგადოებაში კი უარყოფით კონტექსტში იხსენიებენ.

კოდუების კლანის კორუფციამ განუზომელი მასშტაბი მიიღო, რაც კონსტიტუციის, საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და ადამიანის უფლებების დარღვევის წარმოუდგენელი მაგალითია. ხალხში მომწიფდა საზოგადოებრივი პროტესტი, მაგრამ ადამიანები იძულებული არიან, გაჩუმდნენ მუქარის გამო, ვინაიდან დაუცველნი არიან კოდუების კლანის აგრესიისგან. ამიტომაც ხალხის კანონიერად შეძენილ ქონებას უკანონოდ ეუფლებიან. სამწუხაროდ, საქართველოს პრეზიდენტი არ ფიქრობს, რამდენი ათასი ადამიანია კოდუების კლანით უკმაყოფილო, რაც არჩევნების პერიოდში აუცილებლად ხელისუფლების საწინააღმდეგოდ გამოიღებს შედეგს. ჩვენს ხელისუფლებას პროამერიკული პოლიტიკური კურსი აქვს აღებული, მაგრამ არა მგონია, მოგვიწონონ ასეთი კორუფციის მფარველობა, რაზეც ამერიკამ დიდი ხანია უარი თქვა და მაფიოზები ციხეში გამოამწყვდია. ამ გზით აპირებს ხელისუფლება დემოკრატიული და გამჭვირვალე სახელმწიფოს შექმნას?

**ამ ოჯახის ქონება საკმაოდ სოლიდურად გამოიყურება. მკითხველმა თავად განსაჯოს: ქავთარაძის ქუჩაზე შპს „სამკურნალო კომბინატი“, პოლიტექნიკური უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებელი საბანკეტო დარბაზებით, სასტუმრო „საქართველოს“ 80%, მელიქიშვილის გამზირზე მდებარე ბავშვთა საავადმყოფო, მელიქიშვილის გამზირზე ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის შენობა, გურამიშვილის ძეგლთან ჭავჭავაძის გამზირზე ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტი, აეროპორტის დასახლებაში მდებარე ფართობი: 10195 კვ.მ., სანაპიროზე საინჟინრო ლაბორატორია, კახეთის გზატკეცილზე №69-ში მდებარე ობიექტი. სავაჭრო ცენტრი „ლილო სიტი“, მზა ტანსაცმლის ფაბრიკა, „პირიმზის“ 36% და სხვა. და ეს მხოლოდ თბილისში.**

**მკითხველი, ალბათ, ვერც წარმოიდგენს, რა ფასად დაუჯდათ ამ ქონების მოხვეჭა: კოდუების კლანს არ აღელვებს, რამდენი ადამიანი გააუბედურეს მატერიალურად და მორალურად. არავითარი ადამიანური დამოკიდებულება, არავითარი სინდისის ქენჯნა და სიბრალული...**

ამჯერად მფლობელთათვის, სასტუმროების „აფხაზეთისა“ და „საქართველოს“ წართმევის ამბავზე შევჩერდებით.

2007 წლის თებერვალში სს „მასპინძელსა“ და შპს „მასვალოში“ ფინანსური პოლიცია სოდთან ერთად შევიდა და სასტუმრო „საქართველოს“ შენობაში არსებული ორგანიზაციები 8 თვის განმავლობაში პარალიზებული აღმოჩნდნენ. ამავე დროს, 2007 წლის 9 მარტს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო ასაჩივრებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის 1994 წლის 27 ოქტომბრის დადგენილებას, ხოლო თბილისის მერია — საქართველოს ქონების მართვის სამინისტროს 1996 წლის 15 ივლისის №28 საბარათო (ვაუჩერებით) აუქციონის შედეგებს, რითიც ორივე ერთად ითხოვს სს „მასპინძლის“ აქციონერების საკუთრებაში არსებული აქციების 58,95%-ის მერიის საკუთრებად დარეგისტრირებას, ანუ პრაქტიკულად პრივატიზებული საწარმოს იგივე პროცენტის სახელმწიფოსთვის, მერიისთვის საკუთრებაში გადაცემას.

აქ აღსანიშნავია უმთავრესი: **საქართველოს უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს 1997 წლის 20 ივნისის გადაწყვეტილებით, მუნიციპალიტეტის კაბინეტის 1994 წლის 27 ოქტომბრის დადგენილება და ზოგადად სს „მასპინძლის“ პრივატიზაცია კანონიერად არის ცნობილი.**

ამის მიუხედავად, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ მაინც მიიღო სარჩელი და მოპასუხეებად სცნო სს „მასპინძლის“ აქციონერები.

ფაქტობრივად თბილისის მერია სასამართლოს საშუალებით ითხოვდა აქციონერების საკუთრებაში არსებულ ქონებას. სასამართლომ ქონება დააყადაღა და მოწილეები იძულებული გახდნენ მორიგებაზე წასულიყვნენ და სასტუმრო „აფხაზეთი“ მიმდებარე ორსართულიანი ნაგებობითა და 4000 კვ.მ. მიწის ნაკვეთით, 2007 წლის 16 ოქტომბრის მხარეთა მორიგების აქტით (რომელიც განჩინებით დაამტკიცა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლე რ. თოფჩიშვილმაძ სახელმწიფოს უსასყიდლოდ გადაეცა. უსასყიდლოდ გადაცემის სანაცვლოდ სს „მასპინძლის“ აქციონერებმა *მესამედ* მიიღეს დარჩენილ ქონებაზე საკუთრების უფლების დაცვის ახალი კანონისმიერი გარანტია. ეს დარჩენილი ქონება კი იყო ქ. თბილისში მელიქიშვილის გამზირზე მდებარე სასტუმრო „საქართველოს“ შენობა, რომელიც დარჩა სს „მასპინძლის“, შპს „მასვალოს“ და შპს „საქართველოს“ პარტნიორთა საკუთრებაში.

2007 წლის ზაფხულიდან სასტუმრო „საქართველოს“ მყიდველებად მოევლინენ დავით კოდუა და დედამისი ლაურა ლაჭავა. დაიწყო მწვავე და ხანგრძლივი მოლაპარაკებები შენობის შესყიდვის თაობაზე. ზოგ მესაკუთრესთან წილობრივი გარიგება შედგა, ნაწილთან კი არა, ვინაიდან მათ შესთავაზეს რეალურ საბაზრო ფასთან შედარებით გაცილებით დაბალი ანაზღაურება

**წინააღმდეგობის დასაძლევად, მესაკუთრეებზე ზეწოლა განხორციელდა. ერთ-ერთი მესაკუთრის შვილები სხვადასხვა მიზეზით დააკავეს და საპროცესო გარიგებით გაათავისუფლეს. მეორე მესაკუთრის მანქანა სერიოზულად დააზიანეს, მოგვიანებით კი იგივე მანქანა გამოძიების მიერ „დაუდგენელმა“ პირებმა „დაუდგენელი“ იარაღით დაცხრილეს.**

**ამდენად, კოდუების მხრიდან დაიწყო მინიმალურ ფასად შენობის ხელში ჩაგდების მცდელობა და სახელმწიფოსთან მესაკუთრეთა გარიგება აღარ შესრულდა.**

დავით კოდუამ თავისი წარმომადგენლობა დანიშნა, რომელიც ფაქტობრივად უკანონოდ მართავდა სასტუმრო „საქართველოში“ არსებულ ორგანიზაციებს (სს „მასპინძელი“, შპს „საქართველო“, შპს „მასვალო“). მას უახლოეს პერიოდში, 2007 წლის 31 დეკემბრამდე, უნდა შეეძინა სს „მასპინძლის“ აქციები და შპს „მასვალოს“ წილები. იმის მიუხედავად, რომ მან არ შეიძინა ამ ორგანიზაციების აქციები და წილები, იგი განაგრძობდა მათს უკანონოდ მართვას. შპს „საქართველოს“ პარტნიორთა 2008 წლის 3 ივლისის კრებაზე დ. კოდუამ პასუხისმგებლობა აიღო 2007 წლის სექტემბრის შემდეგ დაგროვილი დავალიანებების დაფარვაზე. ამავე დროს, 2008 წლის 1 აგვისტომდე წილების მიყიდვის ანგარიშსწორება უნდა დასრულებულიყო. **კოდუებს საბაზრო ფასში უნდა შეეძინათ აღნიშნული უძრავი ქონება და განეხორციელებინათ მნიშვნელოვანი ფინანსური ინვესტიციები, გაეზარდათ შემოსავლები, თანამშრომელთა რაოდენობა, ბიუჯეტში შესატანი თანხა, დაეცვათ მცირე აქციონერთა უფლებები.** თავიდანვე კოდუებმა განაცხადეს, რომ შპს „საქართველოს“ 16,5 მლნ. დოლარად შეიძენდნენ. შემდეგ თანდათან ნაკლებ ფასზე ჩამოვიდნენ.

**საინტერესოა, საბოლოოდ რამდენს გადაიხდიან ამ ობიექტში, თუ ჩეულებისამებრ წაართმევენ მფლობელებს?** აქციები და წილები არც ამ ახალ დათქმულ პერიოდში გამოისყიდეს. ძნელი გამოსაცნობი არ არის, რომ მათ სხვა მიზნები ამოძრავებდათ — სამეურნეო საქმიანობა და მართვა ისე წარემართათ, რომ გაეკოტრებინათ ორგანიზაციები და შემდეგ გაკოტრებული საწარმოები იაფად ჩაეგდოთ ხელში.

**მოვლენები ასეც განვითარდა: კოდუები განაგრძობენ ობიექტის მართვას პროკურატურაში ნამუშევარი, მაგრამ სამეწარმეო საქმიანობაში გამოუცდელი დირექტორის გიორგი ინწკირველის მეშვეობით, რომელსაც იურიდიულ კონსულტაციებს უწევდნენ ლაურა ღაჭავას წარმომადგენლები, გამოცდილი იურისტები ნელი გაბეხაძე და შალვა კაციაშვილი.**

მყიდველის ნიღბით შემოსულმა კოდუებმა 2008 წლის 25 ნოემბერს შპს „საქართველოს“ პარტნიორებთან ნოტარიულად გააფორმეს შეთანხმება თავიანთი წილების ლ. ღაჭავასთვის მიყიდვის შესახებ: თამარ ჩარკვიანმა (15,04%), ბესარიონ ხარძიანმა (7,46%), მარო მაცაბერიძემ (17,05%), გიორგი კიკალიშვილმა (5,96%), თინათინ ყალიჩავამ (5,29%), სულ 50,8%.

**კურიოზი კი ის არის, რომ საჯარო რეესტრში ლ. ღაჭავა დარეგისტრირებულია 2010 წლის 5 იანვარს, რის გათვალისწინებითაც 3 წლის მანძილზე უკანონოდ მართავდა შპს „საქართველოს“.**

კოდუებმა, ჩაიგდეს რა წილების საკონტროლო პაკეტი და აბსოლუტური მართვა გაინაღდეს, 2009 წლის ბოლოს, მდგომარეობის გამოსწორების ნაცვლად, პრობლემებმა იმატა. **გაჩნდა სახელფასო დავალიანებები, შემცირდა შემოსავლები, არ ხდებოდა დებიტორული დავალიანებების ამოღება და ორგანიზაცია ფაქტობრივად გაკოტრების პირას მივიდა.**

შენობის მნიშვნელოვანი ნაწილი აღარ ქირავდებოდა. ის მოიჯარეებმა, რომლებიც წლების განმავლობაში ქირაობდნენ საოფისე ფართებს სასტუმრო „საქართველოში“, დატოვეს შენობა. კოდუების დანიშნული მმართველობითი სისტემა დამქირავებლებს სთავაზობდა მიუღებელ პირობებს, რის გამოც აღარ ქირავდებოდა საიჯარო ფართები, მეიჯარეები თვითდინებაზე იყვნენ მიშვებულნი.

2009 წლის 17 მარტის სს „მასპინძლის“ სამეთვალყურეო საბჭოს სხდომაზე **გენდირექტორმა თ. მინდორაშვილმა განაცხადა, რომ იგი ვერ ასრულებს თავის მოვალეობას, ვინაიდან კოდუების ოჯახის მხრიდან მუდმივი ზეწოლის ქვეშ იმყოფება, ორგანიზაციას კი მისი წარმომადგენლები მართავენ.** მდგომარეობის გამოსასწორებლად, ამავე კრებაზე დადგინდა, რომ სს „მასპინძელმა“ დროებით, ორი წლით, მართვაში აიღოს თავისი ქონება — შპს „მასვალოში“ სასტუმრო „საქართველოს“ პირველ სართულზე განთავსებული კომერციული 300 კვ.მ. ფართი. იმის მაგივრად, რომ აღნიშნული დადგენილება შესრულებულიყო, სს „მასპინძელს“ გაექირავებინა ფართი და მიღებული შემოსავლებით დაეფარა თანამშრომელთა ხელფასები და სახელმწიფო ბიუჯეტი, დადგენილების პასუხად, 2009 წლის მაისში სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობა, აქციონერების ჯ. გიგანისა და ბ. ხარძიანის ხმების გამოყენებით, შეიცვალა და საბჭოს შემადგენლობაში შევიდა ლაურა ღაჭავა პირადი ადვოკატებითა (ნ. გაბეხაძე, შ. კაციაშვილი) და აუდიტორით (ბ. ვარდიძე), რაც უზრუნველყოფდა ყველა გადაწყვეტილების მიღებას საბჭოზე.

სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობის შეცვლის შედეგად 2009 წლის 22 სექტემბერს მესაკუთრეთაგან ფარულად, ეს ფართი *„სასაცილო ფასად“* იყიდა თეიმურაზ ლაგვილავამ. იგი ამავე დროს იყო შპს „კავკასიის უძრავი ქონების ჯგუფის“ (სადაც მის პარტნიორ საჩოგბურთო კლუბ „დინამოს“ აქციათა 95,71 % ლ. ღაჭავას ეკუთვნოდა) და შპს „ბულიტების“ (სადაც ლ. ღაჭავას 100 %-იანი წილი აქვს) დირექტორი. **საჯარო რე-**



ყოფილი სასტუმრო „აფხაზეთი“

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

მაფია ქართულად

# აყელყელავებულთა თავგასულობა

„ვარნა რით, ძმანო, მდაბალთ ჩაგვრით, მცაცხებლობით და ხვეჭით“
**ალ. ჭავჭავაძე**

**ესტრმა მაინც დაამოწმა უკანონო გარიგება, მიუხედავად იმისა, რომ მას ხელს აწერდა შეზღუდული უფლებამოსილების დირექტორი.** ამ უკანონო გარიგების საფუძველზე ახალი მესაკუთრის დარეგისტრირება „მოახერხა“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრმა, ლაურა ღაჭავას ადვოკატმა შალვა კაციაშვილმა. გასაკვირი არ არის საჯარო რეესტრის ჩადენილი დანაშაული, ვინაიდან იგი კოდუების კლანის კერძო კანტორაა და რაც უნდა, იმას აკეთებინებს.

ამჟამად იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში დარეგისტრირებულია ორი ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაცია: **ერთი მხრივ, 2010 წლის 3 მარტის – სამეწარმეო რეესტრის მონაცემებით, ქონების უკანონო გასხვისების შემდეგ, აღნიშნული უძრავი ქონება – სასტუმრო „საქართველოს“ ყოფილი რესტორანი – დარეგისტრირებულია, როგორც შპს „მასვალოს“ საწესდებო კაპიტალი, იმავდროულად, იგივე ქონება საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, დარეგისტრირებულია ფიზიკური პირის თეიმურაზ ლაგვილავას საკუთრებად.**

ამ ფაქტის გამო, ქონების წართმევით დაზარალებული აქციონერების მოთხოვნით შეიქმნა კომისია, რომელსაც სასტუმროს უკანონო გასხვისების საკითხი უნდა შეესწავლა, კომისიამ მოძიებული მასალებით გააკეთა განაცხადი, რომ ქონება გაყიდულია უკანონოდ, საბაზრო ღირებულებასთან შედარებით მნიშვნელოვნად ნაკლებ, აშკარად შეუსაბამო ფასად, შედეგად დაზარალებული არიან აქციონერები და სახელმწიფო ბიუჯეტი. მაგრამ სს „მასპინძლის“ სამეთვალყურეო საბჭოსგან კომისიის დასკვნას სათანადო რეაგირება არ მოჰყოლია. მიმდინარე წლის მარტის დასაწყისში საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოსაც ჩაბარდა აღნიშნული კომისიის დასკვნა, რომელიც განხილვის პროცესშია და განსაზღვრულ ვადებში უნდა გააკეთდეს რეაგირება.

2011 წლის 22 თებერვალს აქციონერებისაგან ფარული პირობებით გაიყიდა სს „მასპინძლის“ ქონება შპს „საქართველოში“ 3,69%-იანი წილი ვინმე ანრი ბაციკაძეზე. ხელშეკრულებაში გაურკვევლად წერია ფასი – **„75000 ლარის ეკვივალენტი ლარებში“,** გაურკვეველია, რა იგულისხმება ამ ჩანაწერში, 75000 დოლარის ეკვივალენტი ლარებში თუ რაიმე სხვა სახის ვალუტა. არ არსებობს აუდიტორის/ექსპერტის დაკვნა, თუ რის საფუძველზე დადგინდა გარიგების თანხა (აღსანიშნავია, რომ შპს „საქართველოს“ პარტნიორები წლების განმავლობაში – 2008 წლიდან დღემდე, უშედეგოდ ითხოვენ აუდიტორულ დასკვნას შპს „საქართველოს“ დირექტორისგან. **აუდიტორული დასკვნის არარსებობამ გარიგების მხარეებს საშუალება მისცა, გარიგების საგანი შეეფასებინათ რეალურ, საბაზრო ღირებულებაზე ბევრად ნაკლებ, მათთვის სასურველ ფასად, რაც ყოვლად დაუჯერებელი და აბსურდულია.**

ამიტომ აქციონერები უშედეგოდ ითხოვენ შპს „საქართველოს“ ლ. ღაჭავას ინტერების დამცველი დირექტორისგან ამ აუდიტორულ დასკვნას. მიუხედავად იმისა, რომ ა. ბაციკაძეს შპს „საქართველოს“ წილი იაფად მიეყიდა, მან გადაიხადა მხოლოდ 50000 ლარი, რაც სს „მასპინძლის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის ნ. გაბეხაძის თანხმობით იმავე დღეს გადაირიცხა შპს „საქართველოს“ ანგარიშზე, „თელასის“ მიმართ არსებული დავალიანების დასაფარად, თუმცა გაყიდვის მიზეზად სახელდებოდა სს „მასპინძლის“ წლობით დაგროვილი სახელფასო დავალიანებების გასტუმრების კეთილი განზრახვა. დარჩენილი თანხა დღემდე გადაუხდელია, თუმცა ამ კაბალური ხელშეკრულების პირობებშიც კი ა. ბაციკაძეს 2011 წლის 22 თებერვალს აღებული აქვს ვალდებულება, ხუთი საბანკო დღის ვადაში დაფაროს ნასყიდობის ფასი. იმის მიუხედავად, რომ ამ ვალდებულების შეუსრულებლობა ხელშეკრულების მოშლის საფუძველია, ლ. ღაჭავას და დ. კოდუას მიერ მართული მმართველობითი ორგანო სააქციო საზოგადოების ინტერესების საწინააღმდეგოდ, ამ ფაქტს უგულებელყოფს და არც დარჩენილ თანხას ითხოვს მყიდველისგან. ამ პერიოდისთვის ლ. ღაჭავას სს „მასპინძლის“ აქციების საკონტროლო პაკეტის მესაკუთრეებთან აქციების გამოსყიდვაზე ხელშეკრულებები აქვს გაფორმებული. იმის მიუხედავად, რომ კანონი საკონტროლო პაკეტის შემძენ აქციონერს დარჩენილი აქციების შეძენაზე სატენდერო შეთავაზებას ავალდებულებს, ლ. ღაჭავამ დანარჩენი აქციონერების ქონების მითვისება სხვა უკანონო გზებით ამჯობინა. დაშინებული, მოტყუებული თანამშრომლები და აქციონერები ვერაფერს აკეთებენ თავიანთი შელახული უფლებების დასაცავად. სამსახურიდან უხელფასოდ გაყრილნი და დაშინებულნი ინტერვიუს მიცემისგანაც კი თავს იკავებენ, რითაც ხელს უწყობენ კლანის შემდგომ გაძლიერებას.

საინტერესოა ისიც, რომ საბიუჯეტო დავალიანებები კოდუების „მმართველობიდან“ იწყება და, ალბათ, კოდუების ოჯახი მიზნად ისახავს ამ ორგანიზაციის განზრახ გაკოტრებას და აქციონერთა ქონების უკანონოდ ხელში ჩაგდებას, რომლებსაც დივიდენდები არ მიუღიათ. ამას გარდა, **2009 წლის 30 იანვარს კოდუების ოჯახის წარმომადგენელთა მიერ გამართულ პრესკონფერენციაზე, დიდი პომპეზურობით ითქვა, რომ სასტუმრო „საქართველო“ ხუთვარსკვლავიან კომპლექს „გრანდ-საქართველოდ“ გადაკეთდებოდა, რაც 8 მილიონი დოლარი დაჯდებოდა. მასმედიის საშუალებებში აღინიშნა, რომ ამ წილის 60% ლ. ღაჭავას ეკუთვნოდა. სინამდვილეში იმ დროისთვის ლ. ღაჭავა შპს „საქართველოს“ ამ წილის მფლობელი არ ყოფილა და არც ერთი თეთრი არ დაუხარჯავს.** 2009 წლის თებერვლის დასაწყისში სასტუმრო „საქართველოში“ პირადად მისულმა ქალაქის მერმა ტელევიზიით გააჟღერა კოდუების მომავალი ბიზნეს-გეგმები, რაც ქალაქის განვითარების პროგრამის შემადგენელ ნაწილს უკავშირდებოდა. კოდუების წარმომადგენლობა დაპირდა ქალაქის მერს და საზოგადოებას, რომ ამ პროგრამით დაასაქმებდა 800-ზე მეტ ადამიანს. „ბიზნეს-კურიერმა“ ასევე მთელი გადაცემა მიუძღვნა ამ მეტად „წარმატებულ“ ბიზნეს წამოწყებას. **კოდუების ოჯახს ალბათ, სურდა საზოგადოების წინაშე შელახული რეპუტაციის აღდგენა, თუმცა რეალურად კოდუების ეს წამოწყება საზოგადოების მოტყუებას ისახავდა მიზნად.**

2009 წლის გაზაფხულზე პომპეზურად ქალაქის მთავრობის წახალისებით გახსნილი სამორინე „გრანდ-საქართველო“ 2010 წლის ბოლოს ისე დაიხურა, რომ თანამშრომელთა სახელფასო დავალიანებები დღემდე გაუსტუმრებელია, ხოლო შპს „საქართველო“ გაკოტრების საფრთხის წინაშე აღმოჩნდა.

**საკითხავია, რომელ სახელმწიფოში, ან ვის აპატიებდნენ ასეთ მასშტაბურ ტყუილს? მხოლოდ საქართველოში, სადაც პასუხისმგებლობა არავის ეკისრება, თუ ხელისუფლებასთან დაახლოებული ხარ.**

უფრო მეტიც, სახელისუფლებლო ორგანოები, მასმედია ასეთ ბლეფს უწევენ რეკლამას და სინამდვილედ ასაღებენ.

საზოგადოება კითხულობს – **სად გაქრა სასტუმრო „საქართველოს“ ხუთვარსკვლავიან კომპლექსად გადაკეთების გრანდიოზული პროექტი? ხომ არ იყო ეს წინასწარ გათამაშებული უნიჭო სპექტაკლი ფულის გასათეთრებლად? რატომ ხმას არ იღებენ ამ პროექტის ხელშემწყობნი და გამპიარებლები? რაც მთავარია, რატომ არავის დაეკისრა პასუხისმგებლობა?!.**

ლაურა ღაჭავა ყოველნაირად ავიწროებს მესაკუთრეებს და ცდილობს, მათი ქონება თავის ინტერესებს დაუმორჩილოს. 2008 წლის 3 ნოემბერს, შპს „საქართველოს“ აქციონერთა კრებამ დაადგინა, რომ მას რეორგანიზაციის წესით გამოყოფოდა შპს „ტალი+“ თავისი წილით. მიღებული კანონიერი გადაწყვეტილება შემოსავლების სამსახურის რეგიონულმა ცენტრმა ყოვლად უმოტივოდ რეგისტრაციაში არ გაატარა. ეს უარყოფითი პასუხი ძალაში დატოვეს შემოსავლების სამსახურმა და ფინანათა მინისტრმა. მკითხველი ადვილად წარმოიდგენს ლ. ღაჭავას გავლენის მასშტაბს, რომელსაც აღნიშნული სახელისუფლებო ორგანოები ანგარიშს უწევენ და უკანონობას ამკვიდრებენ. ამასობაში ლაურა ღაჭავამ ამ გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნით სასამართლოს მიმართა თამარ ჩარკვიანთან ერთად, რადგან თავად ლ. ღაჭავა არ იყო დარეგისტრირებული შპს „საქართველოს“ პარტნიორად. სასამართლომ არაფრად ჩააგდო ის გარემოება, რომ ლ. ღაჭავა არასათანადო მოსარჩელე იყო და ისე განიხილა საქმე.

მორიგი აფიორის განსახორციელებლად მან მოპასუხედ შპს „ტალი+“-ის მფლობელები კი არ მიუთითა, არამედ – თავისივე დანიშნული, შპს „საქართველოს“ დირექტორი გ. ინწკირველი.

მანაც, ლ. ღაჭავას ინტერესების გათვალისწინებით, სასამართლოში შესაგებელი არ წა-



ყოფილი სასტუმრო „საქართველო“

რადგინა. სწორედ ამ დოკუმენტის წარმო**უდგენლობის მოტივით, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლე წიკლაურმა 2009 წლის 17 ივნისის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით ლ. ღაჭავას სარჩელი დააკმაყოფილა.**

შემდგომ მდგომარეობა რამდენჯერმე შეიცვალა. ჯერ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლემ სოფიო მაჭავარიანმა 2010 წლის 31 მაისის განჩინებით დააკმაყოფილა შპს „ტალი+“-ის პარტნიორთა მოთხოვნა და გააუქმა ლ. ღაჭავას სასარგებლოდ მიღებული ის გადაწყვეტილება, რომლითაც თბილისის სარეგისტრაციო სამსახურმა საკუთრების უფლების რეგისტრაცია უკანონოდ შეაჩერა. ხოლო თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე თამარ ზამბახიძემ 2010 წლის 3 დეკემბერს მიღებული დაუსწრებელი განჩინებით კვლავ ლ. ღაჭავას ინტერესებს დაუჭირა მხარი, რომელიც ამ პერიოდისთვის უკვე იყო შპს „საქართველოს“ პარტნიორი. **ამ გათამაშებული პროცესებით ორივე მხარეს ერთი და იგივე პირი იდგა. ერთი მხრივ, მოსარჩელის სტატუსით – ლაურა ღაჭავა, ხოლო, მეორე მხრივ, მოპასუხის სახით – მის მიერვე კონტროლირებადი გიორგი ინწკირველი.**

**ლ. ღაჭავა არაერთხელ შეეცადა შპს „საქართველოს“ პარტნიორთა „გადაგდებას“. მაგალითად, თინა ბაიაშვილს წილის ყიდვაზე მოელაპარაკა და ბანკიდან ფულის გადარიცხვის საგადასახადო დავალიანების დოკუმენტი უჩვენა, მაგრამ შემოწმებისას გაირკვა, რომ თანხა გადარიცხული არ იყო და ეს საბუთიც ყალბი აღმოჩნდა. მეორეჯერ, ლ. ღაჭავამ წილის ყიდვა 1 მლნ. 600 ათას დოლარად მარო მაცაბერიძესთან ნოტარიულად გააფორმა, მაგრამ დირექტორმა მოლაპარაკებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტი მოითხოვა. მოგვიანებით ეს დოკუმენტი წარმოადგინეს, რომელსაც მ. მაცაბერიძის ნაცვლად ლ. ღაჭავას იურისტი ნ. გაბეხაძე აწერდა ხელს, რაც კანონსაწინააღმდეგო ქმედებაა. მესამეჯერ, როგორც ამბობენ, სანაპიროზე მდებარე „იაპონური“ ავტოგასამართი სადგურის სანაცვლოდ ლ. ღაჭავა მეპატრონეს კომერციული ფართის მიცემას დაპირდა, მაგრამ გადაფორმების შემდეგ „მშრალზე“ დატოვა. მეოთხეჯერ ლ. ღაჭავამ ერთ არქიტექტორს კომერციული ფართი გადააფორმებინა, მაგრამ მოლაპარაკებული თანხის ნაცვლად გაცილებით ნაკლები გადაუხადა. სამწუხაროდ, დაზარალებულები დაშინების გამო არ ჩივიან და ვერც ხმას იღებენ. ამიტომ ზოგიერთი ფაქტი მათი გადმოცემით ვიცით, რომელთა უტყუარობაში ეჭვი არ გვეპარება.**

კულუარებში იმაზეც საუბრობენ, რომ არაბ ბიზნესმენებს სხვა ობიექტებთან ერთად, სასტუმრო „საქართველოს“ ყიდვაც უნდოდათ. ამ საქმის ერთ-ერთი შუამავალი შეახვედრეს ირაკლი კოდუას, რომელმაც ორაზროვნად უთხრა: **„მე ამ საქმეში არ ვერევი, მაგრამ როგორც ჩემს ძმას უნდა, ისე იქნება“.** ამის შემდეგ ამ შუამავალმა საქმეში მონაწილეობაზე უარი განაცხადა და არაბი ბიზნესმენებიც საქართველოდან წავიდნენ.

**მოყვანილ ფაქტებზე კოდუების კლანს პასუხი უნდა ეგო, მაგრამ სიტყვის შებრუნებას ვინ გაუბედავს?**

ხელისუფლებასთან გარიგების ნათელი მაგალითია სანაპიროზე საჯარო რეესტრის შენობის მშენებლობაც. **ჩოგბურთის კორტების მფლობელმა ლ. ღაჭავამ ეკონომიკური განვითარების სამინისტროსგან სანაცვლოდ მიიღო ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის (მელიქიშვილის №10), საბავშვო საავადმყოფოს (მელიქიშვილის№5) და ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის (ი. ჭავჭავაძის №29) შენობები.** შეიძლება ამ დაწესებულებებში მომუშავე მეცნიერებმა და ექიმებმა არც იციან ამის შესახებ. საერთოდ, საჯარო რეესტრი კოდუების მითითებებს უსიტყვოდ ასრულებს. პრესაში გაჟღერდა მოქალაქეთა ბინების უკანონო იპოთეკით დატვირთვის ფაქტები, როდესაც ამ ჩანაწერის დროებითი გაქრობით კლიენტს ბინის ფასთან ერთად იპოთეკის გადახდას აიძულებენ. საჯარო რეესტრის ხელმძღვანელობა ტექნიკური შეცდომით იმართლებს თავს.

**ამიტომ საზოგადოებას მოვუწოდებთ, მაქსიმალურად მოერიდონ კოდუებთან საქმის დაჭერას, თუ არ უნდათ, მორიგი მსხვერპლნი გახდნენ და თაღლითობის ბადეში გახვეულნი აღმოჩნდნენ.**

**ამას გარდა, ლაურა ღაჭავა სხვა სკანდალებშიაც არის გახვეული. შარშან, პრესაში საკმაო რეზონანსი გამოიწვია კომპანია „ტრანსთან“ (ხელმძღვანელი – ლ. ღაჭავა) დაკავშირებული 170 მოვაჭრის დაპატიმრებამ. აგრეთვე, საბერძნეთში მყოფი ქართველი ემიგრანტები ლ. ღაჭავას ადანაშაულებდნენ საფოსტო გზავნილების შეჩერებაში.**

**საიტზე – „ყველაზე მდიდარი ქართველები“ – ლაურა ღაჭავა 60 მილიონის მფლობელია. ალბათ, მსგავსი განუკითხაობით შეძლო ამ ქალბატონმა ამოდენა ქონების დაგროვება.**

**ასეთია საქართველოში არსებული საცირკო არენა, სადაც კლოუნებად სამთავრობო სტრუქტურები, მინისტრები, მოსამართლეები „მუშაობენ“, რომლებიც ყირაზე დგებიან კოდუების მათრახქვეშ და მოთვინიერებულ არსებებად წარმოგვიდგებიან.**

**გუბაზ მეგრელიძე**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

№ 106. ხუთშაბათი, 9 ივნისი, 2011 წელი.

(მეორე გვერდიდან)

**— რაში სჭირდება ეს რუსეთს?**

— ეს ყველაზე დიდი კითხვაა. სიმართლე გითხრათ, პირადად მე ეს არ მესმის და ჩვენ ამაზე ბევრს ვფიქრობთ.

**— მიზანი ქვეყნის შიგნიდან აფეთქებაა?**

— ნაკლებად სავარაუდოა, ამით ქვეყანა ააფეთქონ... შესაძლოა, ისინი დასავლეთს ცდიდნენ და ფიქრობდნენ, რომ თუ დასავლეთი ამას „გადაყლაპავს", ესე იგი, სამომავლოდ კიდევ უფრო მეტის გადაყლაპვას შეძლებს. ანაც, შესაძლოა, ისინი თბილისის ცენტრში გამართულ მიტინგებთან ერთად ამით სიტუაციის მუდმივად რყევას ცდილობდნენ, ანაც ორივეს ერთად... ან შეიძლება, ეს რაღაც სულელური შურისძიება იყოს...

**— რა ბედი ეწიათ რუსული გრუ-ს ოფიცრებს, რომლებიც თავის დროზე დააკავეთ?**

— ეს ოფიცრები ამჟამად აფხაზეთში იმყოფებიან. ჩვენ ისინი არ დაგვიკავებია, თუმცაღა, რა თქმა უნდა, ამის შესაძლებლობა გვქონდა. იყო ასეთი პოლკოვნიკი ბოიკო. ჩვენ მის წინააღმდეგ „რკინის" მტკიცებულებები გაგვაჩნდა და ვიცოდით, რომ სწორედ ბოიკომ ააფეთქა გორში პოლიციის შენობა. როდესაც ის დავაკავეთ, ამის შესახებ არც ჩვენ გაგვიცხადებია და არც რუსეთს. გრუ-ს ოფიცერი იქ რამდენიმე კვირა იჯდა და ამის შესახებ არავინ არსად არაფერი იცოდა.... შემდეგ რუსები ჩვენთან ამერიკელებთან ერთად მოვიდნენ და გვთხოვეს, ეს ყველაფერი ყოველგვარი ხმაურის გარეშე მოგვეგვარებინა. ჩვენ მათ ბოიკო გავატანეთ, რეალური ტერორისტი გადავეცით. მაგრამ მეორე შემთხვევაში, როდესაც ისინი უკვე ადგილზე არიგებდნენ ფულს არა მარტო მიტინგების ორგანიზებისთვის, არამედ პატარ-პატარა დივერსიული აქტებისთვის, ჩვენ დამნაშავეთა დაკავება გადავწყვიტეთ, რადგან როდესაც პირველ შემთხვევაში ჩვენ ეს არასაჯაროდ გავაკეთეთ, მათ ეს, როგორც ჩანს, არ დააფასეს.

განსაკუთრებით საინტერესო იყო ბოლო - პოლკოვნიკ ბორისოვის შემთხვევა. როგორც წესი, როცა დივერსიული აქტის მომწყობი ოფიცერი „ვარდება", მას უკან იწვევენ, ამ შემთხვევაში კი ის არათუ გაიწვიეს, არამედ დამატებითი ჯგუფიც დაახმარეს. ბორისოვის წინააღმდეგ უამრავი მტკიცებულება არსებობს, მაგრამ ის მაინც დატოვეს. ეს ჩემში გაოცებას იწვევს.

**— როგორ ახსნით ამას? ეს პუტინის მხრიდან თქვენს მიმართ რაღაც პირადულითაა განპირობებული?**

— არა, არა...

**— სერგეი ბაღაფშის გარდაცვალება აფხაზეთში რამეს ცვლის?**

— აბსოლუტურად არა. სხვათა შორის, ბაღაფშის თანამდებობაზე მოსვლას ჩვენ დიდი იმედით შევხვდით. ახლა იქ ყველაფერს უშიშროების ფედერალური სამსახურის გენერლები წყვეტენ და ამას არავინ მალავს.

**— რუსეთის მსო-ში გაწევრება საქართველოს გამო ფერხდება: თქვენ საბაჟო საკონტროლო-გამშვები პუნქტების დადგმას მოითხოვთ, რუსეთის სახელმწიფო კი, ნათელია, ამაზე არ წავა. როგორი გადაწყვეტილებაა შესაძლებელი?**

— ჩვენ შვეიცარიულ მხარეს ჩვენი კომპრომისული წინადადებები გადავეცით და რუსეთისგან პასუხს დაველოდებით, თუმცაღა ძნელია, საქმე გქონდეს ქვეყანასთან, რომელიც ონიშჩენკოს პირით საქართველოს „ტერიტორიულ-ეთნიკურ ერთეულად" იხსენიებს. სიტუაციაა ასეთი: არ აღიარებენ ჩვენს ხელისუფლებას, ჩვენს საზღვრებს, არ აღიარებენ მშვიდობიან შეთანხმებასაც კი და ახლა უკვე ზოგიერთები ჩვენ ქვეყნადაც კი არ გვაღიარებენ, ამიტომ ჩვენ შვეიცარიის საშუალებით ვცდილობთ დიალოგის წარმოებას. რაც შეეხება მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციას, ვფიქრობ, კომპრომისული ვარიანტები არსებობს. არსებობს დნესტრისპირეთის ვარიანტი, ასევე სხვა ტექნიკური გადაწყვეტილებები. პირდაპირ გეტყვით, ჩვენ არ ვაპირებთ, მსო-ის ხარჯზე ჩვენი ყველა პრობლემა მოვაგვაროთ.

**— თქვენი ხელისუფლების მიერ კორუფციასთან ბრძოლის კუთხით წარმატებების შესახებ ლეგენდები დადის. ბევრი ჩინოვნიკის დაკავება მოგიწიათ იმისთვის, რომ ქრთამის აღება გამონაკლისად ქცეულიყო?**

— დიახ, ძირითადად — ჩვენების, რადგან ძველი ჩინოვნიკები თანხის სანაცვლოდ გავუშვით.

**— „ჩვენების", ანუ თქვენი ადმინისტრაციის ჩინოვნიკების?**

— დიახ. ჩავსვით 6 დეპუტატი, მინისტრის 10-12 მოადგილე, რამდენიმე დეპარტამენტის ხელმძღვანელი... 50 მოსამართლე ფაქტზე დააკავეს, მათგან 40-ს ვიდეო გადაუღეს, როგორ იღებდნენ ქრთამს. ჩვენ ძალიან კარგი ანტიკორუფციული სამსახური გვყავს. მასში ახალგაზრდა ადამიანები მუშაობენ. ერთ-ერთი მათგანი, სხვათა შორის, მიტინგზე დაიღუპა (25-26 მაისს.). ისინი იდეალისტები არიან და სხვათა შორის, ჩვენ არ გვყავს არც ერთი ყოფილი „ფეესბეშნიკი" ან „კაგებეშნიკი". ეს სრულიად ახალი ხალხია.

**— მაგრამ საქართველო ის ქვეყანაა, სადაც ყველა ერთმანეთს იცნობს. როგორ მიაღწიეთ ამას?**

— ჩემი ნათესავების ნახევარი არ მელაპარაკება. მუდმივი პრობლემები მქონდა მეგობრებთან, კლასელებთან, რომლებსაც არ ესმოდათ, რატომ დააპატიმრეს ვიღაცას ქმარი, სხვა კი სამსახურიდან გაათავისუფლეს. შემდეგ მიეჩვივნენ, რადგან თუ შენ თავად არ აძლევ მაგალითს, როგორ უნდა მოითხოვო სხვისგან?! ხდება, როცა მთხოვენ: „ჩემი ქალიშვილი სახელმწიფო სამსახურში მოაწყვეო", მე კი ამის გაკეთება არ შემიძლია, რადგან როგორც კი ერთს მოაწყობ, ყველა დანარჩენი თავისებს მოაწყობს. ამიტომ ყველაფერი კონკურსის მიხედვითაა და ყველა ტენდერი ელექტრონულია.

**— რა წარმოადგენს ჩინოვნიკებისთვის მოტივაციას — შიში?**

# მიხეილ სააკაშვილი:

# „ეს საქართველოში ქუჩის პოლიტიკის დასასრულია“



— საზოგადოებრივი კონტროლი: მთლიანობაში ამ ზომების ესმით და მხარს უჭერენ. ეს ძალიან პატარა ქვეყანაა და ყველა ერთმანეთს იცნობს. აი, მაგალითად, გასულ წელს ეკონომიკის მინისტრის ერთი მოადგილე დააპატიმრეს: ბოლო ორი კვირის განმავლობაში იგი რესტორანში იჯდა, ნასვამი და წინადადებით გამოდიოდა: „მოდით, ახლა ფული გავაკეთოთ, გამოიყენეთ, ვიდრე მე სამსახურში ვარო". იგი პირდაპირ ქრთამის აღების ფაქტზე დააკავეს.

**— რატომ ირჩევენ თქვენი კორუმპირებულები ასეთ საშიშ ვარიანტს - თანხის აღებას მაშინ, როცა რუსეთში სულ უფრო პოპულარულია ოფშორები და საბანკო ანგარიშები?**

— ასეც ხდება ხოლმე, თუმცა ჩვენთან უფრო ხშირად ნაღდ ფულს იღებენ.

**— დიდი ვადით სვამთ ციხეში?**

— დიახ, დიდი ხნით. კარგად მუშაობს ხერხი, როდესაც 10 დაპატიმრებული ადამიანიდან 2-ს სერიოზულ სასჯელს უსჯიან, დანარჩენები კი, გამოძიებასთან თანამშრომლობის შემთხვევაში, შესაძლოა, გაუშვან კიდეც. ამიტომაც საქართველოში დანაშაულმა იკლო და ჩვენ უსაფრთხოების თვალსაზრისით მეორე ქვეყანა ვართ ევროპაში ისლანდიის შემდეგ. თუმცა სამწუხაროდ, ამას იქამდე მივყავართ, რომ ბევრი პატიმარი გვყავს. ეს ძალიან ცუდია. ახლა ჩვენ სხვადასხვა რამ მოვიფიქრეთ: სპეციალური სამაჯურებით სახლში გაშვება, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა, მოკლედ, მოქნილი სისტემა.

**— თქვენს ხელისუფლებაში მაღალ თანამდებობზე ბევრი ქალბატონია. როგორ მიიღეს ეს პატრიარქალურ საქართველოში?**

— ეს ყოველთვის სარისკოა. პარლამენტში 75 მაჟორიტარიდან 1 ქალბატონია და ის მდიდარი ბიზნესმენია. მოსამართლეების უმრავლესობა ქალბატონებია, ასევეა ადმინისტრაციის თანამშრომლების 80%, საგარეო საქმეთა სამინისტროში თანამშრომელთა 70% ქალბატონია. ასევე ბევრ სხვა სამინისტროში, პროკურატურაში. პოლიციის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, მინისტრის მოადგილეც ქალბატონია. სხვათა შორის, თუ თქვენ ჩვენს საბაჟოზე მიხვალთ, ნახავთ, რომ იქ სასიამოვნო გოგონები მუშაობენ. ადრე საბაჟოზე ჭუჭყი და აგრესია იყო, ახლა კი სუპერმარკეტია. მოდის გაუპარსავი, დაღლილი თურქი მძღოლი და მას ღიმილით ინგლისურად მოსაუბრე მომხიბვლელი გოგონა პასუხობს.

**— თქვენს კაბინეტში ქუთაისში მშენებარე პარლამენტის ახალი შენობის მაკეტია. რატომ გადაწყვიტეთ საკანონმდებლო ორგანოს თბილისიდან 200 კმ-ში გადატანა? რათა ხელისუფლების ერთ-ერთი ინსტიტუტი სამხრეთ ოსეთში განლაგებული რუსული ჯარებისგან შორს ყოფილიყო?**

— დიახ, მაგრამ ამავდროულად — ახლოს აფხაზეთთან: ქუთაისიდან სოხუმამდე ჩვეულებრივი გზით მაქსიმუმ, ორი საათის სავალია, თბილისიდან კი — თუნდაც ახალი გზებით 5 საათის. დასავლეთ საქართველო, ტრადიციულად, ყოველთვის მოწყვეტილი იყო ცენტრს და ამ გადაწყვეტილებით ამ ტრადიციული რეალობის შეცვლას ვგეგმავთ, — ეს პირველი. მეორეც, ყველა წარმატებული სახელმწიფოს განვითარება ზღვისკენ მიდის, შავი ზღვა კი — იმის წყალობით, რომ თურქეთი დიდ არხს აშენებს, უფრო დიდს, ვიდრე ბოსფორი და დარდანელია, აქტიურდება და ზღვა პრაქტიკულად ღია ხდება, ხოლო ქუთაისიდან ფოთის პორტამდე 1,5 საათის სავალია. და ბოლოს, თბილისი უნდა განიტვირთოს. დედაქალაქის ეგოცენტრულობა თბილისის და მთლიანად საქართველოს განვითარებას ხელს უშლის. თუ ჩვენ დემოკრატიას ვაშენებთ, ელიტარიზმი უნდა მოისპოს. ამაშია ქუთაისში პარლამენტის გადატანის სიმბოლურობა.

**— საქართველოს კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებებით ქვეყნის მმართველობის ფორმა იცვლება — საპრეზიდენტო რესპუბლიკიდან საპარლამენტოსკენ. ხელისუფლებას პარლამენტი ჩამოაყალიბებს. ის მართლაც ქუთაისში გადავა?**

— მას იქ ოფისი ექნება, მაგრამ მთავრობა პრინციპში, თბილისში დარჩება, რაც საპარლამენტო ჯგუფების მხრიდან მომენტალური ზეწოლის თავიდან აცილების საშუალებას მოგვცემს.

**— პრეზიდენტი რეალურ ხელისუფლებას კარგავს?**

— ვენეციის კომისია დაჟინებით მოითხოვდა, რომ ჩვენ პრეზიდენტის თანამდებობის სრული ნიველირება მოგვეხდინა, როგორც ეს პოლონეთში ან იტალიაში მოხდა. უფრო ზუსტად, პრეზიდენტს პრაქტიკულად, არანაირი აღმასრულებელი ფუნქცია არ უნდა დარჩენოდა. მე ვიყავი ერთ-ერთი მათ შორის, ვინც დაჟინებით მოითხოვდა, რომ პრეზიდენტს რაღაც ფუნქციები დარჩენოდა. რატომ? - იმიტომ, რომ ქვეყანა ოკუპაციისა და მუდმივი საფრთხის პირობებში იმყოფება. მეორეც, ვთვლი, რომ არჩეულ პრეზიდენტს რაიმე სახის ეკონომიკური ბერკეტი უნდა დარჩეს, რათა ყველაფერი საპარლამენტო კოალიციაში არ მონოპოლიზდეს. ამიტომ მარეგულირებელი კომისია პრეზიდენტის ხელში რჩება. პრეზიდენტის უფლებამოსილებაში რჩება ასევე დანიშვნები უზენაეს სასამართლოსა და ნაწილობრივ საკონსტიტუციო სასამართლოში. რა თქმა უნდა, სახელმწიფოს მეთაური ჩვენს ქვეყანას საზღვარგარეთ წარმოადგენს. უფრო ზუსტად, იქ სერიოზული ფუნქციები დარჩა, თუმცა ყოველდღიური მმართველობა საპარლამენტო ხელისუფლების ხელში გადადის.

**— 2012 წლის იანვარში თქვენი საპრეზიდენტო უფლებამოსილების ვადა იწურება. იმ დროისთვის თქვენ მხოლოდ 45 წლის იქნებით. ქართული ოპოზიცია ამტკიცებს, რომ კონსტიტუციაში შესწორებები თქვენთვის ხორციელდება, რათა საპრეზიდენტო ვადის ამოწურვის შემდეგ პრემიერი გახდებით და უკვე ამ რანგში სახელმწიფოს ფაქტობრივ მეთაურად დარჩეთ. რას იტყვით ამასთან დაკავშირებით?**

— მმართველობის საპარლამენტო სისტემას სწორედ ოპოზიცია მოითხოვდა. თუმცა მეც ვთვლი, რომ ეს ფორმა საქართველოსთვის ძალიან სასარგებლოა. რატომ? — პირადი გამოცდილებით დავრწმუნდი იმაში, რომ რამდენი უფლებამოსილებაც არ უნდა იყოს გაწერილი პრეზიდენტისთვის ქაღალდზე, რეალურად, განსაკუთრებით - პატარა ქვეყნებში მისი უფლებამოსილება ყველა შემთხვევაში საკმაოდ შეზღუდული იქნება. არსებობს ბევრი სხვა რამ, რომელიც ამას ზღუდავს და უმჯობესია, ეს უფლებამოსილება ინსტიტუციონალურად იზღუდებოდეს, ვიდრე ქუჩის რაღაც ქაოტური აქციებითა და სხვა მსგავსი ბერკეტებით. მეორეც, პრინციპში, ჩვენი მმართველობის გამოცდილება კოლექტიური მმართველობის გამოცდილებაა. ჩვენმა გუნდმა 80% სწორედ იმის ხარჯზე შეინარჩუნა, რომ მე უფლებამოსილების დელეგირებას მუდმივად ვახდენ და პრაქტიკულად არ ვერევი. ჩვენ პრეზიდენტობის 2,5 წელიწადი დაგვრჩა (ვამბობ „ჩვენ", რადგან ეს არა მარტო მე ვარ, არამედ მთელი ჯგუფიძ და ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ საპარლამენტო სისტემამ იმუშაოს. სხვათა შორის, თუ ჩვენი პროგრამების უმრავლესობას გადახედავთ, ისინი 2013 წლამდეა გათვლილი: ყველა ავტობანი 2013 წელს იქნება მზად, ყველა ჩვენი კურორტი 2013 წელს დასრულდება, ახალი რკინიგზა თურქეთამდე — 2012 წელს, ყველა აეროპორტი — 2012 წელს, სწრაფი სარკინიგზო ხაზი — 2013 წელს, ახალი საგანმანათლებლო სისტემა სრულად ახალ ტექნოლოგიურ უნივერსიტეტთან ერთად — 2013 წელს. როგორც ხედავთ, ყველა ძირითადი რეფორმა სწორედ ამ წელს სრულდება.

**— ანუ, 2013 წელს ქვეყანა სრულიად შეცვლილი იქნება?**

— ბუნებრივია, თუ მე ახლა ან ერთი წლის შემდეგ საზეიმოდ განვაცხადებდი, რომ მივდივარ, ამით პრაქტიკულად არაფერი განხორციელდებოდა, რადგან ჩვენთან დემოკრატია ჯერ კიდევ არ არის ინსტიტუციონალიზებული და არ შეიძლება იმის თქმა, რომ პიროვნება არაფერს ნიშნავს. შემიძლია, გულახდილად გითხრათ: რეალურად, ჩემს გარემოცვაშიც კი 2013 წლის საკითხი საერთოდ არ განიხილება.

**— როდის მიიღებთ გადაწყვეტილებას?**

— პირველ რიგში, 2012 წლის გაზაფხულზე ჩვენთან საპარლამენტო არჩევნები გაიმართება. მეორეც, ჩვენთან შიდაპარტიული დემოკრატიაა და ბევრი რეალური პოლიტიკური ლიდერი გვყავს.

**— თქვენნაირი — 67%-იანი რეიტინგი არავის აქვს...**

— 78%, თუმცა 50%-ზე ნაკლები არასოდეს მქონია. ზოგადად კი, როგორიც არ უნდა იყოს ჩემი პირადი რეიტინგი, სახელმწიფო სამსახურის, არმიის, პოლიციის, პარლამენტის და პრეზიდენტის ინსტიტუტის რეიტინგია მაღალი. ამასთან, პოლიციის მიმართ ნდობის მაჩვენებელი ყოველთვის ორჯერ მეტია შს მინისტრის პირად რეიტინგზე, ისევე, როგორც ვერც ერთი დეპუტატის მიმართ ნდობა ახლოსაც ვერ მიდის თავად პარლამენტის, როგორც ინსტიტუტის რეიტინგთან. არადა, პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ყოველთვის პირიქით იყო. ჩემს პოპულარულობაზეც რომ ვისაუბროთ, მდგომარეობა შეიცვალა: თუ 5-6 წლის წინათ მე მხვდებოდნენ, როგორც ფიდელ კასტროს ძველი კუბური გადაცემიდან და მზად იყვნენ, ჩემთვის თუნდაც 2 საათი ესმინათ, ახლა თუ ტელეეკრანზე 6-7 წუთზე მეტს მხედავენ, ადამიანები ტელევიზორს სხვა არხზე რთავენ. ეს იმის მაჩვენებელია, როგორ შეიცვალა ყველაფერი: ჩვენ გამოვედით საბჭოთა და პოსტსაბჭოთა სინდრომიდან. რეფორმები იმით კი არ გამოიხატება, რამდენი გზა ავაშენეთ ან რამდენი კომპიუტერი შევიტანეთ სკოლაში, არამედ მენტალურ ცვლილებაში. ვფიქრობ, რომ ეს ცხრაწლიანი ციკლი ამისათვის საკმარისია. ჩვენ არ გვჭირდება 40-წლიანი სიარული უდაბნოში. თანამედროვე ეპოქაში ინფორმაციის უფრო მეტად ხელმისაწვდომობა ადამიანებს უფრო მალე შეცვლის. ეს ახალი თაობა იქნება.

**— რას მიიჩნევთ ყველაზე დიდ პრობლემად 2012 წლამდე?**

— უსაფრთხოებას. ძალიან მნიშვნელოვანია ასევე, რომ მსოფლიო ეკონომიკა კვლავ არ ჩამოიშალოს. დანარჩენს ჩვენ თავად გავაკეთებთ.

**— რუსეთის მხრიდან ახალი საომარი მოქმედების გეშინიათ?**

— სწორედ ეს მქონდა მხედველობაში... დანამდვილებით არაფერი ვიცით იმის გარდა, რომ რუსეთისთვის ხიჭვივით ვართ...

**— და მაინც, იყრით თუ არა კენჭს 2012 წლის გაზაფხულზე პარლამენტში, რათა პრემიერ-მინისტრი გახდეთ?**

— მე ამ საკითხს საერთოდ არ განვიხილავ, თუმცა არსად რომ არ ავორთქლდები, ფაქტია.

**— ქვეყანაში დარჩებით?**

— და სად წავიდე?! (იცინის).

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

# საოცარი ქვეყანა

**200 ათასი** ადამიანი ყოველწლიურად საწარმოო ტრავმის მსხვერპლი ხდება, წელიწადში რეგისტრირდება **10 ათასამდე** საწარმოო დაავადების შემთხვევა, ხოლო **16000 ადამიანი** ინვალიდი ხდება.

ყოველწლიურად **46 ათასი** მკვლელობა ხდება, ამას ემატება **29 ათასი** საავადმყოფოებში მძიმე ტრავმების შედეგად გარდაცვლილი. ამის გარდა ყოველწლიურად რეგისტრირდება **46 ათასი** ამოუცნობი გვამი. ამ ციფრებს შეგვიძლია მივუმატოდ **45-48 ათასი** უგზოუკვლოდ დაკარგული. სულ, კრიმინალურ მიზეზთა გამო ცხოვრებას ემშვიდობება **160 ათასი ადამიანი.**

**63-67 ათასი** ყოველწლიურად თავს იკლავს.

**46%** ადამიანი ყოველწლიურად კვდება შრომისუნარიან ასაკში.

საცალო გაყიდვაში არყის რაოდენობა **70-80%-ით** მეტია არყის ლეგალურ (საქარხნო) რაოდენობაზე.

საბჭოთა კავშირში, გორბაჩოვის პერიოდში, 1 ჩინოვნიკზე მოდიოდა **220** მოსახლე. 2005 წელს მათი რაოდენობა აღწევდა **1-109-ზე**. დღეს, ყველა დონის ჩინოვნიკის, რაოდენობა **2,5-ჯერ მეტია,** ვიდრე საბჭოთა კავშირში, ეს რაოდენობა აღწევს დაახლოებით **1,8 მილიონს**. ამასთანავე, ნუ გამოგვრჩება ისიც, რომ საბჭოთა კავშირის მემკვიდრის (რუსეთის) ტერიტორია და მოსახლეობა მნიშვნელოვნად შემცირდა.

რუსეთის **79 რეგიონში** შობადობა შემცირდა და გაიზარდა სიკვდილიანობა. ბოლო წლებში სიკვდილიანობის საერთო მაჩვენებელი საშუალოდ 1,8-ჯერ მეტია შობადობაზე. ზოგიერთ რეგიონში კი – **3-4-ჯერ.** ხოლო 15 წლის განმავლობაში რუსეთის შორეულ აღმოსავლეთში **48%-ით** შემცირდა მოსახლეობა და **64%-ით** – უკიდურეს ჩრდილოეთში. ციმბირში, ამ ბოლო წლებში, გაქრა **12000 სოფელი** და **290 ქალაქი**.

დღეს რუსეთში **ათ მილიონზე** მეტი არალეგალური მიგრანტია. ოფიციალური სტატისტიკით დღეს რუსეთში ცხოვრობს **12 მილიონი** ჩინელი.

რუსეთის სამხედრო ძალებში მსახურობს **2600-ზე მეტი** ნასამართლევი ოფიცერი.

ჯარში გაწვეულთა მშობლებს მათი ვაჟების სამსახური ძვირი უჯდებათ. სამხედრო ნაწილებში შემუშავებულია ერთგვარი „ტარიფი“: ქალაქში გაშვება **3-4 ათასი რუბლი** (100-130 დოლარი); დაბრუნება – **100 რუბლი** (3 დოლარი); ამას ემატება **800-1500 რუბლი** (25-50 დოლარი) ყოველთვიური გადასახადი, რომ უფროსმა (წინა წელს გაწვეულებმა) არ სცემონ. ფულს იღებს ყველა: წინა წელს გაწვეულები, სერჟანტები, ოფიცრები. ამრიგად, მშობლებს უჩნდებათ ძნელად გადასაწყვეტი ამოცანა: **5000-6000 დოლარად** აარიდონ შვილი ჯარს, თუ დახარჯონ **15-16 ათასი**, უშუალოდ ჯარში სამსახურზე და ამასთანავე, ყოველგვარი გარანტიის გარეშე, რომ შვილი ჯანმრთელობას არ დაჰკარგავს.

ვფიქრობ, რომ ასეთ რეპორტაჟს ჩემი კომენტარი არ სჭირდება – ეს უკვე მკითხველის ნების და უნარის საკითხია.

* * *

ჩემი რუსეთში ყოფნა და იქიდან რეპორტაჟების მომზადება დაფუძნებულია უბრალო მეთოდზე – ყურადღებაზე (როგორც იტყვიან – რასაც თვალი და ყური მისწვდება) და უამრავ ნაცნობთან, ნაცნობის ნაცნობთან და მათი მეგობრის მეგობართან საუბრებზე, ზოგჯერ, მათი ნებართვით, სხვადასხვა ოფიციალური საბუთების კითხვაზე. ჩემმა კონტაქტებმა მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა: მიუხედავად სიმპათიისა და ნდობისა, თითქმის ყველამ გამაფრთხილა, მისი სახელი არსად არ მეხსენებინა... ეს შიში და სიფრთხილე პუტინ-მედვედევის „ეპოქის“ დამახასიათებელი ნიშანია. პირველივე შეხვედრისას, როგორც წესი, აგვისტოს ომზე ჩამოაგდებდნენ ხოლმე სიტყვას – ჩემგან განსხვავებულ ვერსიას ელოდნენ. მე დიდ მონდომებას არ ვამჟღავნებდი – უფრო მათგან მჭირდებოდა ინფორმაცია... ორი კვირის თავზე, როგორც იქნა, „გულწრფელობის წყარომ“ ამოხეთქა, მაგრამ ინკოგნიტოდ დარჩენა მაინც ისურვეს.

**რა აღელვებთ სამხედროებს?**

ამერიკის მიერ ე.წ. „ჭკვიანი იარაღის“ სულ უფრო და უფრო დახვეწა. „ძალიან საშიშია ჩვენთვის ეგ პროგრამები! ყოველ წელს ჩვენ მათ 17-20 წლით ჩამოვრჩებით შეიარაღების თვალსაზრისით.“ – მეუბნებოდა ნაცნობი გენერალი.

რუსეთს მართლაც აქვს პრობლემები. მათ შორის უმთავრესია ტექნოლოგიური. რუსეთში ლითონის დამმუშავებელი ჩარხი ბრუნავს საოცარი სიჩქარით, მაგრამ იგივე ჩარხი ამერიკაში ბრუნავს 22-ჯერ უფრო სწრაფად და 1-2 წელიწადში იბრუნებს 23-26-ჯერ სწრაფად. ეს ნიშნავს უკეთეს ხარისხს, უკეთეს ეფექტურობას. ნახსენები „ჭკვიანი იარაღი“ უბრალო ტექნოლოგიური წინსვლა კი არ არის – ეს ფანტასტიური ევოლუციური ნახტომია, როდესაც რუსეთი ამერიკასთან შედარებით აღმოჩნდება „ქვის ხანაში“. ამიტომაცაა ისინი, ვინც მუშაობენ სამხედრო მეცნიერების და შეიარაღების სფეროში, დაუფარავი აღელვებით ლაპარაკობენ სულ ახლო მომავლის ლაზერულ, ელექტრონულ, იმპულსურ, ელექტრომაგნიტურ, ზეზუსტ, კიბერნეტიკულ იარაღზე, ელექტრონულ ძალოვან ძრავებზე. მათ მშვენივრად იციან, რომ ყველაფერი სულ რაღაც 8-10-წელიწადში გადააბრუნებს კაცობრიობის წარმოდგენას თანამედროვე ომზე, რომ ამ დროისთვის ბირთვული იარაღი (როგორიც ის დღესაა), ჯართში იქნება ჩასაბარებელი – უბრალოდ ვერ ამოქმედდება – პარალიზებული იქნება მოწინააღმდეგის მიერ.

ეს აღელვებთ მეცნიერებს, ანალიტიკოსებს. ჩვეულებრივ სამხედრო მაღალჩინოსნებს კი უფრო „მიწიერი“ პრობლემები აწუხებთ. ვისაც კარგად ახსოვს საბჭოთა კავშირის, ამერიკის, სხვა ქვეყნების ომები, უახლესი ისტორიის ცხელი წერტილები – შეშფოთებით შესცქერიან კავკასიას.

ერთმა, სამხედრო მაღალჩინოსანმა (რომელსაც დღემდე არ გაუქრა ჩემდამი მადლიერების გრძნობა – მამამისს 90-იან წლებში დიდად დავეხმარეძ, მითხრა: „ჩვენთვის თანამედროვე იარაღის პრობლემა, სამწუხაროდ, აღარაა აქტუალური – დიდად ჩამორჩით და ამას აღარაფერი ეშველება. თანაც ჩვენ რეალურად, პრაქტიკულად, მხოლოდ 10 წლის შემდეგ თუ ვიგრძნობთ სამხედრო უძლურებას. მე ამ დროს უკვე პენსიონერი ვიქნები. კავკასიაში შევცდით, წესიერედ ვერ გავთვალეთ – ესაა მისახედი.“ მიამიტური გაკვირვებით შევხედე: „რას გულისხმობთ? ჯერჯერობით ყველაფერი თქვენებურადაა“. გაეღიმა. „როგორ გეტყობათ, რომ სამხედრო არა ხართ. ბრძოლის მოგება სასიამოვნოა, მაგრამ ყოველ ომში საბოლოო გამარჯვების საწინდარი – მოპოვებული პოზიციების შენარჩუნებაა“. „მერე, ამხელა ქვეყანას რამ შეიძლება შეგიშალოთ ხელი?“ – გამეცინა მე. „ქვეყნის სიდიდე არაფერ შუაშია...„ – თავი გააქნია ჩემმა ნაცნობმა – „ღმერთმა დაგვიფაროს ადგილობრივ მოსახლეობასთან დაპირისპირებისგან...“. დაეჯერებოდა: – სახმელეთო ჯარების მთავარ შტაბში ხშირად ყოფნა უხდება. „ამაზე ფიქრიც არ მინდა“, – განაგრძოო მან, – „რა არის იატაკქვეშეთი, პარტიზანები – კარგად ვიცი, ყველამ ვიცით... – დიდ ნეხვში აღმოვჩნდებით“.

სამხედროთა შორის ასეთი განწყობა ძნელად დასაჯერებელია – ოკუპაციის დაწყებიდან ამისთვის ცოტა დრომ განვლო. მაგრამ სამხედროთა ღელვის საფუძვლიანობის დასტური მეორე დღესვე მივიღე, თანაც სულ მოულოდნელად, ერთი კარგი ნაცნობისგან, კომპიუტერული ტექნიკის ინჟინრისგან. ზაფხულში მეუღლესთან ერთად თურმე ბიჭვინთაში ისვენებდა. საყვედურის თქმა (რატომ წახვედით საქართველოს ვიზის გარეშე!?ძ არ დამცალდა – პირდაპირ მომახალა: „თქვენ კარგად იცით – ბევრი მიმოგზაურია, მაგრამ რუსების მიმართ ასეთი სიძულვილი არსად მინახავს. როგორც ღორებს ისე გვიყურებდნენ და ისე გვექცეოდნენ! გამოგიტყდებით: 2008 წლის აგვისტოს შემდეგ ველოდი მადლიერების გრძნობას თუ არა, უბრალო კეთილგანწყობას მაინც – დაუფარავი ზიზღი დამხვდა...“. სახტად დავრჩი – ამას არც მე ველოდი... ყოველ შემთხვევაში, ამ წელს არა. არც ყველა სამხედროა რუსეთში იდიოტი – იყო ჩემი ლოგიკური დასკვნა. დაახლოებით ასევე ფიქრობს კაზაკების ატამანიც. წარმოიდგინეთ, პეტერბურგშიც არიან კაზაკები.

დარწმუნებული ვარ, რომ დღეს „ეფესბეს“ რომელიღაც „დახურულ“ ანალიტიკურ ცენტრში ცდილობენ გათვალონ, თუ რა პოზიცია ექნება საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე პარტიზანული მოძრაობის მიმართ.

**მალხაზ ჟვანია.**

***P. S. მოყვანილი** სტატისტიკური მონაცემები ერთი წლის წინათ ჩავიგდე ხელში. ამიტომ მკითხველმა უნდა გაითვალისწინოს, რომ სადღეისოდ მინიმუმ 6-11 პროცენტით არის გაზრდილი.*

***მ. ჟ.***

დასასრული. დასაწყისი იხ. № 104-105.

## რაც მართალია, მართალია!..

# სარეკლამო „გაჭრა“

მოდით, „ჩემს სტილში“ გადაწყვეტილ ისტორიულ-ლიტერატურულ შესავლებს თავს დავანებებ და პირდაპირ საქმეზე გადავალ.

არ დაგიმალავთ, და გეტყვით, რომ ის სარეკლამო კამპანია, რომელიც ჩვენს სახელისუფლებო ტელეარხებზე მიმდინარეობს, ძალიან დიდი სისულელეა და უფრო ანტირეკლამაა, ვიდრე რომელიმე პროდუქტის მომხმარებლისთვის მიყიდვის მამოძრავებელი ძალა.

**„ახალი ამბები კეთდება აქ! “**

მაგარია, არა?

გადაცემა „კურიერის“ სარეკლამო რგოლის ერთ-ერთი მთავარი სლოგანი მიუკიბ-მოუკიბავად გვეუბნება, რომ „ახალი ამბები“ რუსთავი 2-ში „კეთდება“.

დიახ, სწორედაც, რომ „კეთდება“.

აქ „კეთდება“ „მტერი“ და „მეგობარი“.

„კეთდება“ სხვადასხვა სახის „სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა“ და „ტერაქტი“.

კეთდება „ეკონომიკური წარმატებები“, „ბედნიერი მომავალი“ და „საშინელი წარსული“.

„კეთდება“ უამრავი საწარმო, მეურნეობა და ფერმა.

„დაჰქრიან“ ტრაქტორები და ღიმილით იხდიან ჯარიმებს, ბიუჯეტში რაიმე თანხის დამატებით შეტანის სურვილით „ანთებული“ მოქალაქეები.

კეთდება „შეშფოთებული“ დასავლეთი და სხვადასხვა სახის „რეზოლუცია“.

არა, პრინციპში რას ვერჩი?

ეს ხალხი პირდაპირ ამბობს, „ახალ ამბებს ჩვენ ვაკეთებთო“.

რაც მართალია, მართალია!

არ რჩება მათი „შრომა“ „ხმად მღაღადებლისა“ და „რუსთავი 2“-ის „უმცროსი ძმა“, ტელეკომპანია „იმედიც“ მედგრად მიჰყვება გაკვალულ გზას.

მიჰყვება და ხშირ შემთხვევაში „სჯობნის“ კიდეც.

„პლატინის ჯოხები“, მსოფლიო დონის კინოვარსკვლავებთან ერთად, რუსთაველის თეატრში საქველმოქმედო საღამოზე მყოფი ქალბატონის „თავგანწირული“ სტვენა და მრავალი სხვა სისულელე (უი, ეს რა წამომცდაძ, მოდელირებული ქრონიკა (სიტყვა მოდელირებული, გასაგები მიზეზების გამო ბრჭყალებში არ ჩავსვიძ დ.ა.შ. ნამდვილად „უჯოკრავს“ „რუსთავი 2“-ს (ისე, როგორ დააკლდათ კიწმარიშვილის ხელიძ.

არადა სოციალურ ქსელში „Facebok“-ზე, „იმედის“ ე.წ. ჟურნალისტების უაზრო სიუჟეტებთან დაკავშირებით, საკმაოდ საინტერესო სტატუსი დაიდო:

**– მე რომ ხელისუფლება ვიყო, ტელეკომპანია „იმედს“ ხელახლა დავარბევდი. დავარბევდი, იმიტომ რომ იმაზე მეტ დისკრედიტაციას, რასაც ამ ხელისუფლებას ეს ტელეკომპანია უკეთებს, თავისი „საინფორმაციო“ გამოშვებებით და, ასე ვთქვათ, „შოუებით“, ვერც ერთი ოპოზიციური მედიასაშუალება ვერ მოახერხებდა.**

არადა პოლიტიკა – პოლიტიკაა, მაგრამ ძეხვი სულ სხვაა!

ისე, რაღა დაგიმალოთ და, ზემოთ ნათქვამი, გაცილებით სჯობს იმ ძეხვის რეკლამას, რომელსაც დოდოშკა გვთავაზობს.

მაპატიოს ქალბატონმა დოდოშკამ, მაგრამ უსინდისო ვიყო თუ ან მე გავსინჯო, ან ჩემს ახლობლებს მის მიერ რეკლამირებული ძეხვი შევთავაზო (რაც არ უნდა მშივრები ვიყოთძ.

თუ იმ ძეხვის ჭამის შემდეგ მისი ფიზიკური მონაცემები ჩამოგვიყალიბდება, მაშინ... არა რა!

ძეხვისგან განსხვავებით, დღეს ბევრი „იკვებება“ პოლიტიკით და პოლიტიკური რეკლამით.

იკვებებიან და ღმერთმაც შეარგოთ, მაგრამ მაინც ვიტყვი, რომ ქართულ მედიასივრცეში ამ თვალსაზრისითაც საკმაოდ საინტერესო და არასტანდარტული მიმართულებაა ჩამოყალიბებული.

ამ „ჩვენს“ პოლიტიკოსებს რატომღაც ურჩევნიათ, რომ თუნდაც ხუთი წამით გამოჩნდნენ სახელისუფლებო არხების საინფორმაციო გამოშვებებში და შემდეგ საქმიანი გამოხედვით უცქირონ მრავალგზის დაჭრილ-დამახინჯებულ თავიანთ ფრაზებს, ჯოკერის თამაშისგან მოწყვეტილ თავიანთ „აქტივისტებთან“ ერთად, ვიდრე საკმაოდ ფართო ფორმატით გაავრცელონ თავიანთი მოსაზრებები ბეჭდური მედიის საშუალებით.

ნეტავ რატომ? იქნებ არ იციან, რა უნდა თქვან, ან უფრო უარესი: – საერთოდ არაფერი არ იციან?

მოდით, ნუ „ვაწყენინებთ“ და ვთქვათ, რომ ხელისუფლების „დონეს“ ვერ „ქაჩავენ“.

ხელისუფლება კი ისეთ საოცარ კლიპებს იღებს, რომ „ბაუნტის“ რეკლამა ბავშვურ თამაშად ჩანს.

**აქვე სადღაც ხალხი დასაქმდა.**

**აქვე უამრავი გასართობი ადგილებია, სადაც უბრალოდ უნდა მიხვიდე ოჯახთან ერთად და ისიამოვნო.**

**აქვე ახლოს კონცერტები ტარდება.**

**აქვე შერონ სტოუნი დადის და ენდი გარსია როიალზე უკრავს.**

**აქვე, აქვე, აქვე . . . ყველაფერია.**

ოღონდ სად?

სად და ვისთვის?

გთხოვთ სიზარმაცეში ნუ ჩამომართმევთ და თქვენ თვითონ გაეცით ამ კითხვას პასუხი!

პასუხის გაცემის წინ ოდნავ, სულ რამდენიმე წუთით დაფიქრდით და საკუთარ თავს ჰკითხეთ: – გჯერათ ამ რეკლამების?

არა ხომ?

ასეც ვიცოდი. ეჰ...!

ლიტერატურას მაინც ვერ ავცდები და ამ წერილს დავამთავრებ ფრედერიკ ბეგბედერის წიგნის „99 ცენტი“ ეპილოგში მოყვანილი ციტატებით.

**„რა თქმა უნდა, არ არსებობს არავითარი მიზეზი იმისათვის, რომ ახალი ტოტალიტარული რეჟიმები თავიანთი წინამორბედების მსგავსი იყოს, მიუხედავად მათ ხელთ არსებული ხელკეტებისა და სპეცრაზმისა. ხელოვნურად გამოწვეული შიმშილობების, დაპატიმრებებისა და მასობრივი დეპორტაციებისა... თუმცა ძალდატანება არც იქნებოდა საჭირო, რადგანაც მოსახლეობას უკვე ღრმად ეყვარებოდა თავისი მონური მდგომარეობა. თანამედროვე ტოტალიტარული სახელმწიფოები ერთ ამოცანას უსახავენ პროპაგანდის მინისტრებს, საინფორმაციო საშუალებებს და სკოლის მასწავლებლებს – ხალხს შეაყვარონ ის რეალობა, რომელშიც ცხოვრობენ!“**

**„ჩვენ ისეთ სურვილებს გვახვევენ თავს, რომლებსაც ტანჯვის მეტი არაფერი მოაქვს“.**

პირველი ეკუთვნის ოლდოს ჰაქსლის, რომელმაც ეს ფრაზა 1946 წელს თავისი წიგნის „სამყაროთა შორის საუკეთესოს“ წინასიტყვაობაში დაწერა, ხოლო მეორე ალენ სუშონმა 1993 წელს გამოცემულ წიგნში „სენტიმენტალური ბრბო“ თქვა.

მე ორივეს ვეთანხმები.

თქვენ?

**გია გაბრიჭიძე**




გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

ალპინიზმი

# ილიაუნელები — მყინვარზე



**ბოლო წლებში ქართველმა ახალგაზრდებმა მთისადმი ინტერესი დაკარგეს. დასტურად ისიც გამოდგება, რომ რამდენიმე წელიწადია, მყინვარზე სტუდენტური ალპინიადები არ გამართულა (თითო-ოროლა მთამსვლელს ისედაც რა გამოლევს ქვეყანაში).**

ტრადიციის აღორძინება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებმა გადაწყვიტეს: უმაღლეს სასწავლებელში სამთო გამყოლების ორწლიანი პროფესიული პროგრამის ფარგლებში ალპური კლუბის ჩამოყალიბება დაიწყეს და პირველი ლაშქრობაც მოაწყვეს მყინვარზე. ექსპედიციას ცნობილი მთამსვლელი არჩილ ცინცაძე ხელმძღვანელობდა. პროფესორ-მასწავლებლებსა და სტუდენტებს ამ ლაშქრობაში მრავალი რვაათასიანი მწვერვალის დამპყრობი, „მთის ჯიქად" წოდებული ბიძინა გუჯაბიძე ეხმარებოდა. ალპინიადაში 26 ადამიანი მონაწილეობდა, მათგან 21 მყინვარს თავზე მოექცა.

ილიაუნელთა წამოწყებას, იმედია, სხვა უმაღლესი სასწავლებლებიც მიბაძავენ.

უნივერსიადა — 2011

# ხელბურთი სურათს ვერ ცვლის



**საქართველოს უნივერსიადის პროგრამით საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დარბაზში ხელბურთელთა ტურნირი გაიმართა. შეჯიბრებაში 8 გუნდი მონაწილეობდა. სხვებზე უკეთ სტუ-ს გუნდმა ითამაშა. მან ქვეჯგუფში სამ მეტოქეს სძლია, ნახევარფინალში აგრარული უნივერსიტეტი დაამარცხა 41:19, ფინალში გორის უნივერსიტეტს აჯობა 42:13 და პირველი ადგილი დაიკავა. მესამე ადგილზე აგრარული უნივერსიტეტი გავიდა.**

საერთო გუნდურ ჩათვლაში ხელბურთის შედეგებმა სურათი ვერ შეცვალა — აქ ისევ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი ლიდერობს 14 ოქროს, 11 ვერცხლისა და 14 ბრინჯაოს მედლით. მეორე ადგილი სტუ-ს (13, 14, 13) უკავია, აგრარული უნივერსიტეტი (10, 12, 20) გათამაშების ცხრილის მესამე საფეხურზეა.

**გივი გაგუა**

რაგბი

# ბუქარესტი ერთა თასს უმასპინძლებს

**რუმინეთში 10 ივნისიდან IRB-ის ერთა თასის გათამაშება დაიწყება. მთავარი პრიზისთვის მასპინძლებთან ერთად იბრძოლებენ საქართველო, ნამიბია, სამხრეთ აფრიკა კინგზი, არგენტინა A და პორტუგალია. შეჯიბრებაზე ბორჯღალოსნები ასეთი შემადგენლობით გაემგზავრნენ: ვასილ კაკოვინი, აქვსენტი გიორგაძე, გოდერძი შველიძე, მარლენ ასეიშვილი, დავით ქუბრიაშვილი, შალვა მამუკაშვილი, ილია ზედგენიძე, ვახტანგ მაისურაძე, გიორგი ნემსაძე, დიმიტრი ბასილაია, სიმონ მაისურაძე, ზვიად მაისურაძე, გივი ბერიშვილი, ვიქტორ კოლელიშვილი, ბიძინა სამხარაძე, გიორგი ბრეგაძე, ლაშა ხმალაძე, ირაკლი გიორგაძე, გიორგი ჯიმშელაძე, რეზო გიგაური, ალექსანდრე თოდუა, ლექსო გუგავა, ირაკლი ჩხიკვაძე, ბექა ურჯუკაშვილი, ბესიკ ხამაშურიძე, მალხაზ ურჯუკაშვილი.**



საქართველოს ნაკრები 10 ივნისს სამხრეთ აფრიკას (კინგზი) დაუპირისპირდება. **ამავე დღეს ითამაშებენ:** რუმინეთი — ნამიბია, არგენტინა A — პორტუგალია.

**15 ივნისი.** საქართველო — არგენტინა A, რუმინეთი — სამხრეთ აფრიკა კინგზი, პორტუგალია — ნამიბია.

**19 ივნისი.** პორტუგალია — სამხრეთ აფრიკა კინგზი, საქართველო — ნამიბია, რუმინეთი — არგენტინა A.

**ლაშა დიდია**

კრივი

# კაკაურიძის ხსოვნას მიეძღვნა

**ქუთაისის კრივის სკოლის აღზრდილმა აკაკი კაკაურიძემ გასული საუკუნის 80-იან წლებში ახალგაზრდებს შორის მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონობა მოიპოვა, ხოლო უფროსების მსგავს შეჯიბრებებში საპრიზო ადგილებზე გავიდა. იგი 2001 წელს 29 წლისა ავტოკატასტროფაში დაიღუპა.**

რიონისპირელებმა ამ დღეებში კაკაურიძის ხსოვნისადმი მიძღვნილ პირველ საერთაშორისო ტურნირს უმასპინძლეს. შეჯიბრებაში საქართველოს, თურქეთის, სომხეთისა და აზერბაიჯანის 100-მდე წარმომადგენელი მონაწილეობდა ორ ასაკობრივ ჯგუფში. გაუწყებთ გამარჯვებულთა ვინაობას წონითი კატეგორიების მიხედვით:



**კადეტები:** შოთა ვაშაძე (ჭიათურა, 46კგ), ზაურ ხურციძე (ქუთაისი, 48), ალეკო ლურსმანიშვილი (გორი, 50), უჩა ყველაშვილი (ქუთაისი, 52), თემურ ჩხეიძე (ქუთაისი, 54), ვალეჰ რამაზანოვი (აზერბაიჯანი, 57), ჯემალ შალამბერიძე (ქუთაისი, 60), დიმიტრი კოპაძე (გორი, 63), კოტე ხვისტანი (ქუთაისი, 66), ირაკლი ქათამაძე (ქუთაისი, 70), ერიკ ბაზნიანი (სომხეთი, 75).

**1993-1994 წლებში დაბადებულნი:** ტიგრან მანუკიანი (სომხეთი, 49), გენრიკ მაკოიანი (სომხეთი, 52), გიორგი აბესაძე (ჭიათურა, 60), სანდრო ჯაჯანიძე (ჭიათურა, 64), დემირ ჰასანი (თურქეთი, 69), ალი ეკბერი (თურქეთი, 81), მურმან გოგისვანიძე (ქუთაისი, +91).

ტექნიკური მოკრივისთვის დაწესებული პრიზებით ირაკლი ქათამაძე, ჯემალ შალამბერიძე და გიორგი ხარაბაძე დაჯილდოვდნენ.

**ლექსო ცინცაძე**

ინტერნეტიდან

## ისევ სკანდალი გორდება

**იტალიის სერია A-ს ხუთი კლუბი, მათ შორის „რომა" და „ფიორენტინა" ეჭვმიტანილნი არიან მოლაპარაკებული მატჩების გამართვაში. ასე აღნიშნავენ ადგილობრივი გაზეთები.**

რომისა და ფლორენციის გუნდებს გარდა „მოლაპარაკებაზე" ეჭვობენ აგრეთვე „ჯენოაზე", „ლეჩესა" და „კალიარიზე". ამავე დროს ნეაპოლის პროკურატურა იძიებს იმას, დაკავშირებულია თუ არა ქვეყნის ჩემპიონატის ზოგიერთი შარშანდელი მატჩის შედეგი კამორას დანაშაულებრივი ორგანიზაციის საქმიანობასთან. ეს ორგანიზაცია კი იტალიის კამპანიის ოლქში „მოღვაწეობს".




მორიგი საფეხბურთო სკანდალი იტალიაში 1 ივნისს აგორდა, როდესაც ცნობილი გახდა, რომ საშინაო პატიმრობაშია ფარული ფსონების ორგანიზაციასა და მოლაპარაკებულ მატჩებში ეჭვმიტანილი იტალიის ნაკრების ფეხბურთელი ჯუზეპე სინიორი. მის გარდა იტალიის პოლიციამ დააპატიმრა 15 კაცი, მათ შორის არიან B და C სერიის კლუბების ფეხბურთელები, კლუბების ხელმძღვანელები და საბუკმეკერო კანტორების ოპერატორები.

გამომძიებელთა მოსაზრებით, ყველა დაპატიმრებული ბოლო თვეებში ახორციელებდა დანაშაულებრივ ქმედებებს, რაც გავლენას ახდენდა ზოგიერთი მატჩის შედეგებზე.

დაპატიმრებებს ახდენდნენ რომის, ტურინის, ნეაპოლის, ბოლონიის, ფერარის, ბარის, კომოს რიმინის, პესკარას, ანკონასა და რავენიეს პოლიციები.

## მრჩევლებად მიიწვია

**ლეგენდარული საოპერო მომღერალი პლასიდო დომინგო, აშშ-ს ყოფილი სახელმწიფო მდივანი ჰენრი კისინჯერი და წარსულში ცნობილი ჰოლანდიელი ფეხბურთელი და მწვრთნელი იოჰან კრუიფი, ახლა ერთ-ერთ ხელმძღვანელ თანამდებობაზე რომაა „აიაქსში", მიიწვიეს ფიფას პრეზიდენტის იოზეფ ბლატერის მრჩევლებად. „ისინი შეადგენენ პატარა კომიტეტს, რომელსაც „ბრძენთა საბჭოს" ვუწოდებ", — აღნიშნა ბლატერმა.**

ახალი კომიტეტი მიიღებს გამოძიების განხორციელების უფლებას და ის შესთავაზებს პრეზიდენტს საშუალებებს, თუ როგორ უნდა გახდეს ფიფას მუშაობა გამჭვირვალე, ნათელია, რომ ბლატერი ფიქრობს ფიფას პრესტიჟის გამოსწორებას, ბოლო ხანებში მნიშვნელოვნად რომ გაუარესდა.

ელიტა

# ლამაზმანი მაფიოზი?

**ლამაზმანი ირინა შეიკი, კრიშტიანუ რონალდუს საცოლედ რომ მიიჩნევდნენ, გახდა ფოტოსესიის Styte Caster გმირი, ამავე დროს Cosa Nostra-ის სახელითაც რომაა ცნობილი. მაფიოზად რომ გადაქცეულიყო, ირინამ მოირგო და გაიხადა რამდენიმე ცნობილი ბრენდის ტანსაცმელი და ჟურნალისტებსაც უამბო თავის თავზე — ის ძალზე დამაჯერებლად გამოიყურებოდა. ირინამ კომპლექსები უკან ჩამოიტოვა და ახლა კომფორტულად გრძნობს თავს ნებისმიერ ტანსაცმელში და მის გარეშეც.**

„მე ძალზე გამხდარი გოგონა ვიყავი სკოლაში, — იხსენებს ახლა ირინა, — ყველა დამცინოდა, რადგან მაღალი და შავგვრემანი ვიყავი. რის გამოც თავი ულამაზოდ მიმაჩნდა. მაგრამ მაშინ, როდესაც მე გადასაღებად მიმიწვიეს ჟურნალში Sport illustrated, ვიფიქრე, რომ ალბათ ლამაზიც ვარ-მეთქი".

ისე კეთილად აგიხდეთ ყოველივე, როგორც ეს ირინას აუხდა.




გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

## სულთათანა

# პროფესორი კარლო კუცია

გარდაიცვალა აღმოსავლეთმცოდნე-ისტორიკოსთა სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენელი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი კარლო კუცია.

კარლო კონსტანტინეს ძე კუცია დაიბადა 1933 წლის 14 ოქტომბერს. 1952 წელს, თბილისის 22-ე საშუალო სკოლის ოქროს მედლით დამთავრების შემდეგ, ჩაირიცხა მოსკოვის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ახლო აღმოსავლეთის ფაკულტეტის ირანულ განყოფილებაზე.

1953 წლის 5 მარტს ი. სტალინის გარდაცვალების შემდეგ მოსკოვში დაიწყო სტრატეგიული მნიშვნელობის ფაკულტეტებიდან ქართველ სტუდენტთა განდევნა. როგორც წარჩინებული სტუდენტი, კარლო კუცია გადაიყვანეს მოსკოვის პირველ სამედიცინო ინსტიტუტში, სადაც მხოლოდ ერთი სემესტრი დაჰყო: მედიცინა არ აღმოჩნდა მისი მოწოდება, ამიტომ დატოვა სასწავლებელი და სწავლა განაგრძო მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობების ინსტიტუტში.

1953 წლის ივლისში სტალინის საქმეს ბერიას საქმეც წამოეწია და კარლო კუცია იძულებული გახდა, დაეტოვებინა მოსკოვი. 1954 წლიდან იგი სტუდენტია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტისა, რომელიც წარჩინებით დაამთავრა ირანის ისტორიის სპეციალობით.

1959-1960 წლებში კარლო კუცია მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებულ უცხო წყაროთა კომისიაში, 1960 წელს სამუშაოდ გადავიდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ახლად გახსნილ აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში, ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების შუა საუკუნეების ისტორიის განყოფილებაში, სადაც ცხოვრების ბოლომდე აგრძელებდა ნაყოფიერ სამეცნიერო მოღვაწეობას. 1967 წლიდან გახლდათ ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის ლექტორი, 1991 წლიდან – პროფესორი მსოფლიო ისტორიის სპეციალობით.

1967 წელს კარლო კუციამ, ქართული აღმოსავლეთმცოდნე-ისტორიკოსთა სკოლის ფუძემდებლის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, პროფესორ ვალერიან გაბაშვილის ხელმძღვანელობით, წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „სეფიანთა ირანის ქალაქები და საქალაქო ცხოვრება", 1975 წელს კი – სადოქტორო დისერტაცია: „სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურა და სოციალური ბრძოლა სეფიანთა ირანის ქალაქებში".

პროფესორი კარლო კუცია ფართო დიაპაზონის მკვლევარი გახლდათ. მისი სამეცნიერო ინტერესების თვალსაწიერი მოიცავდა აღმოსავლურ წყაროებს, ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებს, მათს სოციალურ-ეკონომიკურ სტრუქტურას, ქალაქებს, ვაჭრობა-ხელოსნობას, კულტურას. სპარსული, სომხური, ევროპული და ქართული წერილობითი წყაროების შესწავლის საფუძველზე მეცნიერმა შექმნა ფუნდამენტური შრომები შუა საუკუნეების ირანის, სომხეთის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის, ირან-საქართველოს ურთიერთობების, კავკასიის ხალხთა წარსულის შესახებ.

კარლო კუციას დიდი წვლილი მიუძღვის წყაროთმცოდნეობის განვითარებაში. მის მიერ მიკვლეულია არაერთი მანამდე უცნობი წყარო, რომლებიც მაღალი დონის თარგმანით, ვრცელი კომენტარებით, ღრმა კრიტიკული ანალიზით გამოირჩევა და სამეცნიერო მიმოქცევაშია შემოტანილი. მათ შორის არის: „ესაი ჰასან ჯალალიანცი, ალვანთა ქვეყნის ისტორია", 1971; „არაქელ დავრიჟეცის ცნობები საქართველოს შესახებ", 1974; „ისფაჰანის ქართველი ტარუღები (1618-1722ძ", კრ. „მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები", II, 1972; თოვმა მეწოფეცი, „ისტორია თემურ ლენგისა და მისი შთამომავლებისა", 1987; „Икта в „Талих-и Алам-арай-и Аббаси" კრ. „ახლო აღმოსავლეთი და საქართველო", 1991.

წყაროთმცოდნეობის ხასიათის ნაშრომებთან ერთად, პროფესორი კარლო კუცია ავტორია ისტორიული გამოკვლევებისა, რომლებიც ეძღვნება შუა საუკუნეების ირანის, აღმოსავლეთ ამიერკავკასიისა და საქართველოს პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ, კულტურისა და რელიგიის ისტორიის პრობლემებს. კარლო კუცია ას ოცამდე სამეცნიერო პუბლიკაციის ავტორია.

ქართულ ისტორიულ მეცნიერებაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიმკვიდრა პროფესორ კარლო კუციას ვრცელმა მონოგრაფიებმა, რომლებიც ირანისა და ამიერკავკასიის საქალაქო ცხოვრებას, ვაჭრობა-ხელოსნობას, პოლიტიკურ და კულტურულ ყოფას ეძღვნება. მათგან განსაკუთრებით აღსანიშნავია: „სეფიანთა ირანის ქალაქები და საქალაქო ცხოვრება", 1966; „აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ქალაქები XVI-XVIII საუკუნეებში", 1976; „ამქრები XVII-XVIII საუკუნეების საქართველოს ქალაქებში", 1984; „Социально-економическая структура и социальная борьба в городах Сефевидского Ирана", 1990; „Цеховые уставы грузинских городов XVIII-XIX веков" 2001.



ბატონ კარლო კუციას სამეცნიერო მემკვიდრეობას ამდიდრებს კიდევ ერთი მიმართულება, რომელიც შორს არის როგორც აღმოსავლეთმცოდნეობის, ისე არმენოლოგიისგან და ქრისტიანული საეკლესიო მწერლობის ჟანრს – ქართულ ჰაგიოგრაფიას მოიცავს. მის მიერ, პროფ. ნათელა ვაჩნაძესთან ერთად, გამოკვლეული, ძველი ქართულიდან რუსულ ენაზე თარგმნილი და გამოცემულია „Житие и Мученичество святого мученика Костанти грузина, который был замучен царем Вавилонян Джафаром", 1978, რომელსაც დიდი გამოხმაურება მოჰყვა სასულიერო და სამეცნიერო წრეებში. აღნიშნული ნაშრომის განსხვავებული ვარიანტი შესულია 2011 წელს გამოცემულ წიგნში „დიდნი საქმენი".

რუსულად თარგმნილია და გამოსაქვეყნებლად მზადდება „ცხრათა ყრმათა კოლაელთა მარტვილობა" და „თეოდორე სალოსის ცხოვრება" კომენტარებითა და გამოკვლევებით.

წარმატებულ სამეცნიერო მოღვაწეობაში მკვლევარს დიდ დახმარებას უწევდა დასავლური და აღმოსავლური ენების ცოდნა. ის შესანიშნავად ფლობდა რუსულ, სომხურ, სპარსულ, ფრანგულ და ინგლისურ ენებს.

საგანგებოდ აღსანიშნავია, რომ კარლო კუციას ნაშრომები, გარდა ქართულისა, გამოქვეყნებულია რუსულ, სომხურ, სპარსულ, ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ ენებზე და დაბეჭდილია მოსკოვში, ერევანში, პარიზში, ვისბადენში (თანაავტორი პროფ. გრიგოლ ბერაძე), კოპენჰაგენში, თეირანში.

პროფესორი კარლო კუცია მრავალი ცნობილი სპეციალისტის აღმზრდელი და პედაგოგი იყო. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და თბილისის აზიისა და აფრიკის ინსტიტუტში ლექციებს კითხულობდა ირანისა და სომხეთის ისტორიაში, ირანის წყაროთმცოდნეობასა და ისტორიოგრაფიაში, ძველი ირანის კულტურაში; წლების განმავლობაში მოღვაწეობდა საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც უძღვებოდა აღმოსავლური თეატრისა და ზოგადად აღმოსავლური კულტურის ისტორიის კურსებს. გამოქვეყნებული აქვს ოცდაათზე მეტი რეცენზია თბილისის, მოსკოვის, ლენინგრადის, ვილნიუსის, ერევნის წამყვანი თეატრების სპექტაკლებზე.

პროფესორი კარლო კუცია გახლდათ გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის სამეცნიერო ხარისხების მიმნიჭებელი სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე და ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის, საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობისა და ისტორიოგრაფიის და კულტუროლოგიის სამეცნიერო ხარისხების მიმნიჭებელი საბჭოს წევრი. ხშირად იყო ოპონენტი, აქტიურად მონაწილეობდა სამეცნიერო კონფერენციებსა და სიმპოზიუმებში. მისი მოხსენებები გამოირჩეოდა კვლევის სიღრმით, ფართო ერუდიციითა და მაღალი პროფესიონალიზმით.

კარლო კუცია დიდი პასუხისმგებლობით ეწეოდა სარედაქტორო საქმიანობას. მისი რედაქტორობით არაერთი მონოგრაფია და კრებულია გამოცემული, რომლებსაც გამოცდილი პროფესიონალის დაკვირვებული თვალი და ხელწერა ემჩნევა.

ჩვენგან წავიდა გულმხურვალე მამულიშვილი, ღვაწლმოსილი მეცნიერი და მაღალი ზნეობის უსპეტაკესი პიროვნება, უაღრესად თავმდაბალი და მოკრძალებული, დახვეწილი ინტელიგენტი, ახალგაზრდობის გულისხმიერი აღმზრდელი. კარლო კუციას ნათელი სახე მარად დარჩება მისი კოლეგების, მეგობრებისა და მოწაფეების ხსოვნაში.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი; ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი; თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის აზიისა და აფრიკის ინსტიტუტი; საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი

## ინფორმაცია

### მოსკოვიდან სოხუმამდე ავტობუსი ივლის

15 ივნისს მოსკოვსა და სოხუმს შორის რეგულარული საავტობუსო მიმოსვლა დაიწყება. ინფორმაციას ამის შესახებ რუსული მედია ავრცელებს.

სწორედ ამ დღეს რუსეთის დედაქალაქიდან სეპარატისტული აფხაზეთის დედაქალაქის – სოხუმის მიმართულებით პირველი ავტობუსი გავა.

გავრცელებული ინფორმაციით, ბილეთის ფასი -2 500 რუსული რუბლია და ისინი ავტოსადგურების სალაროებში გაიყიდება.

### წვიმები სეპარატისტებსაც არ ეპუება

გადაუღებელმა წვიმებმა სეპარატისტული აფხაზეთი, კერძოდ კი ოჩამჩირის რაიონის სოფლები დააზარალა. აფხაზური მედიის ინფორმაციით, ყველაზე მეტად დაზარალებულია სოფელი ადიუბჟა.

– კალაპოტიდან გადმოვიდა პატარა მდინარე ნარტოუ, რომელმაც საცხოვრებელი სახლების პირველი სართულები დატბორა. ასეთი წყალდიდობა ადგილობრივი მაცხოვრებლების განმარტებით, მათ ბოლო 20 წლის განმავლობაში არ ახსოვთ, – იუწყება აფხაზური მხარე.

მათივე ინფორმაციით, ამ დროს სოფლებში ელექტროენერგია გამოირთო. ადგილობრივები დატბორვის ძირითად ხელისშემწყობ მიზეზად სამელიორაციო სისტემის მოუწესრიგებლობას ასახელებენ. ადგილზე უკვე შექმნილია კომისია, რომელიც ზარალს ითვლის.

ჯი-ეიჩ-ენი

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში"
99-62-77; 899 32-85-76.

ნოდრის კარიკატურა



– საყვარელო, დღეს ღონისძიება გვაქვს სამსახურში და, ალბათ, გვიან მომიტანენ სახლში.

ამირან ერაძის ნახატი.

სს ს. ვირსალაძის სახელობის სამედიცინო პარაზიტოლოგიისა და ტროპიკული მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი თანაუგრძნობს გურამ კაციტაძეს მეუღლის
ალა კაციტაძის
გარდაცვალების გამო.

### განცხადება

ა/წ პირველი ივლისს 14 საათზე ჩატარდება ს/ს „სტომატოლოგის" აქციონერთა კრება. მისამართი დ. ალმაშენებლის 55.

დღის წესრიგი:

1ძ წლიური ანგარიში;

2ძ აუდიტორული შეფასების გაცნობა;

3ძ სხვადასხვა.

აქციონერთა დასწრება სავალდებულოა.

ადმინისტრაცია

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

## გვიმრავლე, უფალო!

ავტობუსს აღარ ველოდები და სვენებ-სვენებით ავდივარ ქობულეთის აღმართზე (დღევანდელ შატბერაშვილის ქუჩაზეძ. სახალხო პროექტ „ნიჭიერში“ გამარჯვებული 14 წლის ვანო ფიფიას დედას – ქალბატონ ნანა გულედანს გუშინ შევუთანხმდი, რომ ვანოსთან შემახვედრებდა და აი, მეც აქა ვარ... დილაა, ჩემს ნორჩ რესპონდენტს, ჯერჯეროზით, სძინავს, მაგრამ ქალბატონი ნანა დაწვრილებით მიამბობს ამ ვეება ტელეპროექტში გამარჯვებული ვაჟიშვილის შესახებ. ბინა, სადაც ისინი დროებით დგანან, ავსტრიაში მცხოვრებ კინორეჟისორს ნათია არაბულს ეკუთვნის, ნათია, თურმე, ფილმის გადაღებას აპირებს ვანო ფიფიაზე.

# ნიჭიერმა პაპას ნატვრა აუსრულა



**– ვანო მთელმა საქართველომ გაიცნო, როგორც კარდენახელი... ფიფია, შუაგულ კახეთში, საიდან?**

– (დუმილიძ გეტყვით... ვანო პირველი ქორწინებიდან მყავს... ჩვენ ზუგდიდის რაიონის სოფელ ზედა ეწერში ვცხოვრობდით... მერე ბედმა კახელების რძალი გამხადა... ვანო შვიდთვიანი დაიბადა, ჰქონდა გულის, ფილტვების პრობლემები... ფეხი რომ აიდგა, თითქმის სამი წლისა იყო, დაისვამდა მამაჩემი გვერდით (იგი მომღერალთა გუნდს ხელმძღვანელობდა სოფელშიძ... ჰ ოდა, აიყოლიებდა სიმღერაზე... ასწავლიდა „ჩელას“, „მირანგულას“... ვანოს ძალიან უყვარდა პაპა, მე ნოდარ გულედანი ვარო, ამბობდა... მომღერალი უნდა გამოვიდე, პაპას ანდერძი უნდა შევუსრულოო და, მგონი, ახდა კიდეც...

**– ახდა რომელია, მთელი საქართველო აღტაცებაში მოიყვანა... ბედნიერი ქალი ხართ, რა თქმა უნდა...**

– ძალიან... დღეს ვანო კარდენახის საჯარო სკოლის მეშვიდე კლასშია. კარგა ხანს უჭირდა სიარული, გურჯაანის უნარშეზღუდულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატში შევიყვანეთ... მასწავლებელმა ლეილა ვარამაშვილმა შეამჩნია სიმღერის ნიჭი, ამღერებდა გუნდში, მერე კი კარდენახში გადმოიყვანა. იქ კი გამოუჩნდა ღვთისნიერი ქალბატონი ლელა ბედენაშვილი, მან ჯერ თელაველები „გადაარევინა“ ვანოს, მერე ჩამოიყვანა თბილისში, გააცნო „ზუმბას“, რომელმაც „არტგენის“ ფესტივალში მიაღებინა მონაწილეობა და ფანდურითაც დაასაჩუქრა... ქალბატონი ლელას ინიციატივით მოვხვდით „ნიჭიერთა“ პროექტში... თავი ზღაპარში მგონია... სულ იმის ცდაში ვიყავი, როგორმე ვანოს საოპერაციო ფული შემეგროვებინა... ღმერთმა გადმოგვხედა... „საქართველოს ბანკმა“ 10 000 დოლარით დააჯილდოვა ჩემი ბიჭი, საჩუქრად მისცეს ბინაც ბათუმში, ბულვარზე... არის იმედები, რომ ვუმკურნალოთ, ქვეყანამ გაიგო მისი სახელი და დახმარებასაც დაგვპირდა ზოგ-ზოგი... ჯერჯეროზით აქ უნდა ვიცხოვროთ, უკვე მიწვევებიც აქვს ვანოს, მაგალითად, გერმანიაში, კანადაში... გიორგი უშიკიშვილი სიმღერების ჩაწერას დაჰპირდა... ამას ხომ ყველაფერს დრო უნდა... ყველას მადლობელი ვარ... მარტო დათო კენჭიაშვილისა და მისი ანსამბლის ბიჭების ყურადღება რად ღირს... ღმერთმა უშველოს, ვინც პროექტი „ნიჭიერი“ მოიგონა, ჩემი ვანოს ნიჭს გაფურჩქვნის საშუალება მისცა და ქვეყანას გააცნო...

...აი, ნიჭიერიც გვიერთდება თვალების ფშვნეტით... მოკრძალებული ბიჭი ჩანს, თუმცა, დიდი კაცივით მოსაუბრე.

– ერთი, ის უთხარი ბიძიას, რაზე ოცნებობ, ვანიკო? – ეუბნება დედა და თვითონვე განმარტავს – ცოტა ფულს რომ ვიშოვნი, პაპის საფლავზე ქვა უნდა დავდოო...

სამთავეს სევდიანად გველიმება.

**– კარდენახელმა თანატოლებმა მოგილოცეს?** – ვეკითხები ვანოს.

– მაშ... გახარებული არიან...

**– კარდენახელი ვინ იყო თუ იცი?**

– იოსებ ნონეშვილი.. ხოლო ანაგელი – ჰამლეტ გონაშვილი.

ქალბატონი ნანა გვერთვება საუბარში: – გონაშვილი მისი ღმერთია... რომ გაიმარჯვა, მეორე დღეს დიდუბის პანთეონში მივიდა და ყვავილები დააწყო ჰამლეტის საფლავზე...

**– მომავლისთვის რას ფიქრობ, ვანო?..**

– უნდა გავაგრძელო სიმღერა, ოღონდ ქართული ხალხური სიმღერა...

**– ვითომ, რატომ მაინცდამაინც ქართული?**

– ბევრმა ქართველმა დაივიწყა ჩვენი სიმღერა... არ უნდა დავივიწყოთ... ხომ ნახეთ, აფრიკელებმა იცეკვეს ჩვენი ცეკვა... ჩვენ კი, რა დასამალია და, ვივიწყებთ... ევროპის დონეზე ევროპული სიმღერებისა და ცეკვების ცოდნით უნდა ავიდეთ? არა მგონია...

აი, 14 წლის ვანო ფიფიას ნააზრევი, მკითხველო... გაიზარდე შვილო, სამშობლოს სასახელოდ და სასიქადულოდ!..

ვემშვიდობები ქალბატონ ნანა გულედანს, ვანოსა და მის დაიკოს – 8 წლის ქეთის, რომელიც მოგვიანებით შემოგვიერთდა და, როგორც მისი დედიკო ამბობს, მასაც ცეკვა-სიმღერის დიდი ნიჭი აქვს...

...„ტორმუზით“ ვეშვები ქობულეთის აღმართიდან თავდაღმართში და ვფიქრობ: მიუხედავად ყველაფრისა, ქართულ გენსა და ნიჭს გადაშენება არ უწერია.

**ვილენ მარდალეიშვილი**

## ცნობისმოყვარეთათვის

# სად, რა, როდის?

● ჩინეთის ვიცე-პრემიერი დოუ იუპეი დაჟინებით ითხოვს ქვეყანაში გარდაცვლილ მოქალაქეთა კრემაციას. მან მოწინააღმდეგეებს ირონიულად განუცხადა: „მაინც სად გეგულებათ ამდენი მიწა, ყველა გარდაცვლილი რომ დავასაფლაოთ?“

● 11 მილიონი დოლარი ღირს ქალაქი კალიფორნიაში, რომელიც გასულ საუკუნეში პროტესტანტულმა საძმომ დააარსა. დღეს იქ მხოლოდ ერთი ადამიანი ცხოვრობს.

● შედგენილ სახელს „მარლენს“ დასავლეთში მარქსისა და ლენინის პატივსაცემად მამაკაცს არქმევდნენ, ხოლო პოსტსაბჭოურ სივრცეში იმავე სახელს ქალს უწოდებდნენ, თუმცა შედგენილი იყო მარიამისა და მაგდალენას სახელებისგან.

● სიმტკიცის მაჩვენებლებით იტალიური ყოფის ეს მახასიათებელი იმდენად ჰგავს ფოლადის ძელებს, რომ სტუდენტი-არქიტექტორები საკურსო და სადიპლომო პროექტებისთვის მათგან მოდელებსაც კი აკეთებდნენ და ეს გახლავთ იტალიელთა სიამაყე – სპაგეტი.

● ნაპოლეონის არმიაში ჯარისკაცი გენერალს „შენობით“ მიმართავდა.

● ომის წინააღმდეგ გაილაშქრა ორგანიზაციამ „გაშიშვლებული მოწმეები“. 2003 წლის იანვარში ორგანიზაციის დედიშობილა წევრები ჩრდილოეთ კალიფორნიაში მიწაზე დაწვნენ და დაწერეს: „არა – ომს“.

● ქალთა დღეს ძველი რომაელებიც კი აღნიშნავდნენ. ამ დღეს ყველა ქალი, მონაც და მისი პატრონიც, საჩუქრებს იღებდნენ, ისვენებდნენ და საუკეთესო ტანსაცმელში გამოწყობილი მიემართებოდნენ ვესტას ტაძარში, რათა ოჯახური კერის მფარველისათვის მფარველობა ეთხოვათ.

● დედების დღე მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში არსებობს. ფრანგები ბებიის დღეს აღნიშნავენ, იაპონიაში კი ქალწულების დღე არსებობს. 8 მარტი საუკეთესო საშუალებაა იმისათვის, რომ გაზაფხული ყველა ქალს ერთად მიულოცო.

მოგვაწოდა
**ტიტე კოპალეიშვილმა**

ორგანიზაცია ბეჭდავს ჟურნალ-გაზეთებს მაღალი ხარისხითა და ზომიერი ფასებით. 868 838 858

რეკლამა
გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
99-62-77; 899 32-85-76.

## კადრი



## ანეკდოტები

– რატომ არის, რომ ყველა შენი მეგობარი შენზე მეტ ფულს შოულობს? – ამუნათებს ცოლი ქმარს.

– იმიტომ, რომ ვიცი მეგობრების შერჩევა.

* * *

ცხოვრება ელექტროობასავითაა: – დაძაბული დგები, წინააღმდეგობით მიდიხარ სამსახურში, მთელი დღე ნაპერწკლებს ყრი, დაელექტროებული ბრუნდები სამსახურიდან და ითიშები.



– მამი, ცოლქმრული ცხოვრება მართლა ლატარიას ჰგავს?

– არა, შვილო, ლატარიაში რაღაც შანსი მაინც გაქვს.

* * *

– როგორ გძინავთ?

– შესანიშნავად.

– სად მუშაობთ?

– ღამის დარაჯი ვარ.

* * *

– ჩემს საუკეთესო ლექსს ვეძებ და ვერ ვპოულობ, ალბათ ჩვენმა გოგონამ დაწვა, – ეუბნება პოეტი ცოლს.

– ნუ სულელობ, ბავშვმა ჯერ კითხვა არ იცის და რატომ დაწვავდა?!

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოზულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 814 33-33-24